

227
1911

9.



№ 6 კვირეული ჟურნალი.

1911 წ. 16 იანვ. № 6

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1) ფაქრები და შენაშენები

2) დავმარხე მუზა (აქქსი)

3) საადგილმამულო პოლიტიკა ქალაქებში

4) სურათი (აქქსი)

5) განსაკუთრებული ღირსება დეკ. დ. ლამბაშ—სა

6) ბრეტონული სახალხო პოეზია თარგ.

7) ნილოსის ძღვენი

8) კოტე მესხს (იუბილეის გამო)

დამატება: შემთხვევა დრამატიული ესკიზი

ი. გრიშაშვილი.

ბ. ა—ნი.

კიკნა—ფშაველა.

ა. გოგებაშვილი.

ალ. სარაჯიშვილი.

დ. კილოსანიძე.

დ. მესხი.

ილ. ელფთერიძე

ქართული თეატრი რეპერტუარი და გენეზისები

კვირას, 16 იანვარს



საქართველო
ბიბლიოთეკა

ვალერიან გუნიას საგენეზისოდ

წარმოდგენილი იქნება ვასილ ყიფიანის

სამეგრელოს მთავარი ლეჟან

ისტორ. დრამა 5 მოქ.

ხუთშაბათს, 20 იანვარს

ნინა ღვინთაშვილის საგენეზისოდ

წარმოდგენილი იქნება

ჰანრი პატაილის

უიუკელი

დრამა 4 მოქ.



ყოველ კვირეულ ჟურნალი (გამოდის 12 დეკემბრიდან).

ცხოვრება და ხელოვნება

რედაქციამ მიმართა ყველა ქართველ მწერლებს, მეცნიერთ და მხატვარ-ხელოვანთ თანაშრომის მიღებისათვის. — განყოფილება რედაქტორები.

პუბლიცისტიკა ფ. გოგიჩაიშვილი.

სიტყვა-კაზმული მწერლობა შ. არა-

გვისპირელი.

(ბელეტრისტიკა).

სიტყვა-წყობილი მწერლობა კ. მასაშვილი.

(პოეზია)

პედაგოგიკა ალ. შდივანი.

მხატვრობა და ქანდაკება ი. ნიკოლაძე.

ისტორია თუს. აბულაძე.

მედიცინა ვ. დამბაშიძე.

მუსიკა შ. თაღიაშვილი.

დრამა ვ. შალიკაშვილი.

სასცენო ხელოვნება ვ. შესხაშვილი.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ვ. ვართაგავა.

ბუნების მეტყველება ს. იაშვილი.

მიმოხილვა ვ. გუზია.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ლორთქიფანიძე

დამატებაში იბეჭდება „როსტომიანი“ (ფირდუსის შესწამე) და დრამები

ხელის მოწერა მიიღება ქართული თეატრის კასაში და წერა-კითხვის განაწეს-
ლებელ საზოგადოებაში.

განცხადების ფასი ჟურნალის კაბადონზედ 1 გვერდზე სტრიქონი 20 კაპ.
უკანასკნელზედ 15 კაპ. ტექსტის წინ 15 კ. ტექსტის შემდეგ 10 კ. რუსეთიდან
და საზღვარ გარეთიდან განცხადებები ორ ფასად.


Address: Тифлис, Дворянская, д. дворянства, рядом с театром. Редакция
„Цხოვრება და ხელოვნება“ Тел. № 862. რედაქცია ღიას — 10—2 ს.

საქართველოს
საბჭოთაო
კავშირების
კავშირების



სსრკ-ის

საბჭოთაო



№ 6 კვირეული ჟურნალი.

1911 წ. 16 იანვ. № 6

7 (05)
6-98.

1174

რედაქცია უძორხილესად სთხოვს ხელას მომწერლებს შეატეობინოს
თუ ვისმე რომელიმე ნომერი არ მიხვლია.

აკენტურა ძვირი ჯდება, ვთხოვთ ჟურნალი წლიურათ (5 მან. შეიძ-
ლება ათ-ათ შაურობით შემოტანა) გამოიწერათ. თუ ჟურნალი
რამე მიხეხის გამო დაიკება, ხვედრი ფული ხელის მომწერთ
უსათუოდ უკანვე დაუბრუნდება.

ფიქრები და შენიშვნები.

თეატრის და სცენის შესახებ

W.


I

რაც უნდა ილაპარაკონ თეატრზე
„თანამედროვე ბუნებრივობის“ მოციქუ-
ლებმა, მე კი ერთს ვიტყვი: ყოველთვის
და ყოველგან, მუდამ ჟამს და ყველა
ერებში თეატრისა და სცენის უმთავრეს
და ცხოველ მყოფელ ძარღვად და ელემ-
ენტად ის კი არ იყო და არც არის,
რასაც წარმოადგენს ცხოვრება და არც
თვით ცხოვრებაა; არამედ ისა, რაც ცხოვ-

რებას გარდაქმნის ხოლმე უმაღლეს რად-
მე, მიმზიდველად და იდეალოურად.

ამ მხრივ სასცენო ხელოვნება უღრის
ერთგვარს ქურუმობას, მღვდელ-მსახურო-
ბას ხელოვნების ტრაპეზსა ზედა, მის
სამსხვერპლოზე.

როგორც ყოველს კეთილს და პატიო-
სან სახლსა და ოჯახში უნდა იყოს ეგ-
რედ წოდებული „წმინდა კუნჭული“,
შეუბღალავი და წმინდა კუთხე, აგრეთვე



ყოველ ეროვნების თეატრში ყოველ დროს, მისდა ყოველ მხრივი აღსაყვავებლად უნდა იგულისხმებოდეს, საკუთარი „ზეცა“, რომლისაკენ აღმართული უნდა იყვეს აზრი და მისწრაფება ამ ზეცის მოტრფიალე ქურუმთა და მის გულწრფელ მსახურთა.

თეატრსა და სცენაზე არას დროს არ უნდა დაენდეს და წარიხიკოს ის, რაც-კი წარმოდგენებში ყველაფერზე უფრო უძვირფასესი და უაღრესია, ე. ი., ნიჭის სხივოსნობა; პირადი ცხოველი ზედ გავლენა, დამათრობელი მომხიბლაობა მოთამაშისა სცენის ქურუმისა.

საკმარისი არ არის მარტო „ხელოვანი“ მსახიობი, საჭიროა კიდევ აღზნებული სული და გული, ცხოველი მგრძობიერობა, სტიქიური აღტყინება, რომლის საშუალებით მსახიობი „ზეცას“ ეწევა და მაყურებელიც ზეცაში აჰყავს ხოლმე...

თეატრის ჭირისუფალთა საგანი კულტურული იდეის დამკვიდრებაა მსმენელთა შორის.

ხელოვნება ის კი არ არის, რაც რეალობაში და სინამდვილეშია, არამედ ის რაც იდეალურ ოცნებაშია და სანატრელია, რომ იყოს.

II

ძველი დაყოფვა მსახიობთა ეგრედ წოდებულ „ამპლუაზე“ თანამედროვე თეატრს უკვე აღარ სწამს.

ეხლა უფრო ფასობს მსახიობის ალღო, უნარი, ნიჭი და ინდივიდუალობა.

ახალს პიესებში უკვე აღარ არსებობს „როლები“, არიან მხოლოდ „მოქმედნი“, რომელთა გაპიროვნება სცენაზე არ ურიგდება წინანდელ უჯრებს, ტრაფორეტებს—ამპლუას.

თანამედროვე პიესებში მსახიობი ამა თუ იმ ამპლუაში კი არ აფარგლებს როლებს, პირიქით იგი სცილდება ამპლუას და ჰქმნის არა სცენიურ პიროვნებას, არამედ ცხოვრების ხატებას სხვა და სხვა ფერადებით.

აწინდელი მსახიობი როლისაგან, რომელსაც იმ მასალისაგან, რომელსაც იმსახურებს და სოციალური ურთიერთობა.

განსხვავება ძველსა და ახალ მსახიობთა შორის *) მხოლოდ ერთშია: ძველები „ამპლუაში“ ეძებენ წარმატებასა და ხსნას, ახლები კი—ცხოვრების კვლევასა და გაპიროვნებაში.

ძველს პიესებში უმთავრესი ინტერესი დამყარებული იყო პიროვნობაზე—გმირზე, თანამედროვე სცენის ინტერესი თვითონ პიესაა, ერთეული და სრული და არა ესა თუ ის პირი.

სოციალურმა ხანამ შეჰქმნა და წინ წამოაყენა კოლექტივობა, ანსამბლი, ერთეული.

იმას ვერ ვიტყვი, დიდ ხანს გასტანს ეს კოლექტივობა თუ არა, მაგრამ ყველასათვის აშკარაა, რომ ამ ხანად მაინც პიროვნებას და გმირობას ნაკლები ადგილი აქვს ცხოვრებაში და ხელოვნებაშიც.

ჩვენს დროში არ კმაყოფილდებიან მარტო „ხელოვნობით“, არ კმარა აგრეთვე ამპლუა და ამ ამპლუაში მოთავსებული ნიჭი და უნარი.

რაც გინდა განვითარებული ჰქონდეს მსახიობს ესა თუ ის ამპლუა, მაგრამ თუ იგი მოკლებულია განვითარებულ გონებას, შეგნებულ გემოვნებას და კვლევის უნარსა, იგი შორს ვერ წავა და ვერც ხელოვნებას დააწინაურებს.

როგორც ყველა საქმეში აგრეთვე მსახიობის წარმატების უტყუარი ნიშანი და თავმდები იყო და არის მხოლოდ და მარტოდღენ ფხიზელი გონება.

გონების სიფხიზლე კი შედეგია მხოლოდ განვითარებისა, განმეცნიერებისა.

სიტყვა ძველსა და ახალში ჩვენ ვგულისხმობთ არა წლოვანობათა სიმრავლეს ან სიმცირეს არამედ მსახიობის მიპართულებას, მიუხედავად მისის სიბერისა და სიჭაბუკისა.

ავტორი.



დავმარხე მუზა.

სო ნ ე თ ი

ი. გრიშაშვილი.


არვიცი როდის... მახსოვს კი ერთხელ
გულ-ჩათუთქული, მწირ-დავრდომილი—
მუზათ-სამეფოს კრძალვით ვეახელ
და გადავეცი მგოსნის ღიმილი.

რა კარგი იყო მაშინ სულყველა,
სევდის ბნელ ღამეს ბედს არ ვჩიოდი,
ბუნების ბაღში, როგორც პეპელა
ბუჩქიდან ბუჩქზე გადავდიოდი.

ვიგონებ წარსულ ამოცებას,
ვიგონებ სატრფოს—განვლილ დროებას
როს სევდის ზღვაში დაუშვი ღუზა.
დღეს კი რაღა ვარ?—ცეცხლი ჩამქრალი,
უთვისტომო და დაუტირალი,
მკვლარ უღაბნოში დავმარხე მუზა.



სედა — ჯუზეპეს ქანდაკება



საადგილ-მამულო პოლიტიკა ქალაქში.

სხვაბან და ჩვენი.

ბ. ა—ნი.

(ვუძღვნი ქუთაისის ახალს საბჭოს „სალორიის“ საკითხის მასალად)

(გ ა გ ძ ე ლ ე ბ ა *)

ტვილისის თვითმართველობის პოლიტიკას საადგილ-მამულო საკითხში სარჩულად დაედა ის ტეორეტიულ-პრაქტიკული მოსაზრება, რომელიც განატარა თავის მოხსენებაში¹⁾ ეოფილმა ქალაქის მოურავმა ს. ვერმიშევამ.


სანამ ამ მოხსენების დასკვნას გავინცნობდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ადვინიშნით შემდეგი გარემოება. ადამიანის ჩვეულებრივი ბუნებაა მთავრის თავისი საქმეები ისე, რომ სინტეზსებშივე დასტუბეს სკუთარის შრომის შედეგებით, შექნაღის ქანებით. ჩვენ კი ქართველებს, ისიც ზედმეტ შორს-მჭვრეტელობად, მიგვაჩნია, თუ ვინმე იღვწვის ისეთ საქმეზედ, რომლისგან შესაუერისი ნყოფი შეიძება მიიღოს მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ. უფრო შორეუღის გათვალისწინება კი ჩვენ, სამწუხაროდ, მხოლოდ თეორიაში შეგვიძღდა, თორემ პრაქტიკულ ცხოვრებაში შორეუღის გათვალისწინება ჩვენთვის უცნობი ხიღია. ქართული ინტელიგენტები წარმოგადგენთ უმეტესად „წუთის“ ადამიანებს, რომელთ გუღის სიღრმეში მუღამ ამოკითხავთ: „მე თუ არ ვიქნები, ქვა-ქვანუღაც ნუ ეოფიღდა“. ასეთი ეგოიზმის შესისხხხორღების მიზეზით ჩვენს საზოგადოებაში ასეთმა პრაქტიკულმა ინდიფერენტმა მოკიღდა ფენი: ზოგს კიღეც ჭკონია, თითქმის ქართვეღს მემამულეს, რომელიც დღეღიანებულად და მკაღების აღსაზრღელ სარჩვების გაღებაც კი უწმეღდება, უოღება ჭქონღეს ლჯახის დღევანღელ სჭიროებისათვის მთელი ერის საუწვე „სამშობლო დღღის ძე-

ძე“ უცნობათ საკუთრებად განაღდას. თუმცა ძვალთაც უთქვამთ „დღევანღელი კვერღნი მირჩევენია ზვალინღელს ქათამსაღ“, მაგრამ ეს თქმულება, როგორც ბუერი სხვაც, ისე დგვიმახინჯებია, რომ გვგზნია, უოღება გვქონღეს, დღევანღელ სჭიროების დასაკმაყოფილებღად მშობელი ერის და მით ჩვენივე შვიღ-ღი-შვიღების სინიღისიც კი ბაზარზე გამოვიტანოთ. ესა ნიშანი სოციალურ სიმახინჯის უკიღურესი განვითარებისა და ეს ჩვენი სიმახინჯე მუღამ უნდა გვახსოვღეს ეოველკვარ საზოგადოებრივ მოღვაწეობის დროს.

ქალაქის ცხოვრება განსაკუთრებულ ხასიათს გვაჩვენებს. საქალაქო თვითმართველობა, რომელიც თვით რუსული კანონმღებლობის მიერ იურიდიულ პირღვნებად არის აღიარებული, წარმოადგენს ერთგვარ საზოგადოებრივ ერთეულს, რომელიც დამახინჯებულ საარჩევნო უოღების გამო, ვერ ჩაითვლება ქალაქის მცხოვრებთა უმეტესობის ინტერესების გამომხატველად; მაგრამ, ცოტად თუ ბევრად მაინც, ცდილობს საზოგადო ინტერესთა დაცვას. არის ისეთი საკითხები რომლებიც თანასწორად საინტერესოა საზოგადოების სხვა და სხვა ნაწიღებისათვის, და ასეთ საკითხებში თვითმართველობათა ორგანოებმა უნდა შეიკონ თავის ამომრჩევეღების ინტერესების სოღიღარობა უოღებო მცხოვრებთა ინტერესებთან. და ეს ასეც ხღება, როღესაც, გარდა კლასობრივ ინტერესებისა, არ ჭეოფს მათ ერღვნული ინტერესებიც, რომლებიც, ცხოვრებაში სშირად გაციღებით უფრო ძნელი შესათანხმებღია.

ქალაქის საზოგადოებრივობა ერთგვარი ფსისოლოგიურ-ეკონომიური ჯამია მოქალაქეთა ინდივიდუღურის ცხოვრებისა, რომელიც მუღაღდება სინამღვიღეში, ცოტად თუ ბევრად ეროვნულ-ეტნოკრაფიულ ეღემენტების შერე-

*) იხ „ცხოვრება და ხელოვნება“ № 3.
1) Приложение № 4 къ 22 му тому Докладовъ. Предложеніе Городского Головы по прошенію арендаторовъ городскихъ земель о представлѣніи имъ этихъ земель на выкупъ (Дѣло № 54—1902 г. по 4 отд.).




ვით. იმ დროს, როდესაც მოქალაქეთა კერძო ცხოვრება და ინტერესები ძლიერ მრავალფეროვანი და ცვალებადია, ამ მრავალფეროვან მისწრაფებათა ჯამში, რომელიც წარმოადგენს ქალაქის სოციალურ ინტერესებს და ცხოვრებას, შედარებით უფრო ხანგრძლივი და ნაკლებად ცვალებადია. ის იურიდიულ-კანონიერი ხარისხით, რომელიც უჭირავს ამა თუ იმ ქალაქს, სოციალურად რამდენიმე ათეული წლისა და ზოგჯერ მთელი საუკუნის განმავლობაშიც უცვლელი რჩება. კერძო ხარისხით კი ხშირად რამდენიმე წელიც საჭმარისია ერთი კლასიდან მეორე კლასში, ერთი კანონიერი ჯგუფიდან მეორე, სულ სხვა კანონიერი ინტერესთა ჯგუფში გადასვლელად.

ამ მოსაზრებით ქალაქის თვითმართველობის მართებს გაცილებით მეტი შორსმჭრეტელობა, რადგან ის სოციალური პიროვნება — ქალაქი, — რომლის იურიდიულ გამოსახულებას თვით წარმოადგენს, საუკუნოებით სტრუქტურას. თვითმართველობაში უნდა გაითვალისწინოს ის მდგომარეობაც, რომელშიც მოექცევა ქალაქი 70—100 წლის შემდეგ, და წინ დაუხედავის შეტყობებით არ დაუმძიმოს შემდეგ შთამომავლობათ მოქალაქობრივ მოვალეობის ასრულება. ასეთი წინდახედულება გულისხმობს განსაკუთრებით ისეთს საკითხებში, რომლებიც ასე თუ ისე გადაწყვეტილი უნდა იქნას შესაძლებელია სისწორით გავითვალისწინოთ. ერთი ამგვარტაგანია საადგილ-მამულა საკითხი და მისი სამართლიან გადაწყვეტას მოათხოვს აწმულ და კიდევ უფრო შეგნებულად გათვალისწინებული ქალაქის მომავალი ინტერესები.

ტოფილისის საბჭოც ვერ შესძლებდა ამ ჭეშმარიტების უარყოფას, რომ განსაკუთრებულ გარემოებას მასევე არ ემოქმედნა. მოგვისწინებთ, როგორც ევკლასი რუსეთში, ისე ტოფილისშიც, „საქალაქო დებულების“ თანახმად, თვითმართველობა შეძლებულთა ხელშია. შეძლებულნი კი განსაკუთრებით სომხობას და მათგან არჩეული საბჭოც სომხების ინტერესების უმთავრესი დამცველია. ჯერ-ჯერობით,

სხნამ თვითმართველობა მათ ხელშია გადასული. სუფლად ეყენებენ მას თავის კონტრუქციის იარაღად. მაგრამ ევკლასთავის ცხადია, რომ მათი ბატონობა ერთიანად აშენებულია დაბადებიდანვე დახვსებულ „საქალაქო დებულების“ სიმრუდეზე და იმდენად დღენაკლულია, რამდენადც საიმედოა მასევე თუ შორეულ მომავალში მახინჯ საარჩევნოსისტემის შეცვლა. ასეთს მდგომარეობაში რა უნდა ჰქნას სოციალურ სუფიერმა შეიღმა — ტოფილისის საბჭომ? რათ უნდა ანაცვალს დღევანდელი კვირის, რომლის მოხმარებას საკუთრად მისი ხება, იმ ხვალისდელ ქათმის, რომლის მოხმარებაში, უეჭველია, ევკლასიანთვალისწინებულ „ზრაც“-საც წილი ექნება? გარდა ამისა, ისიც მისაღებია მხედველობაში, რომ საადგილ-მამულა სუფიერისის შემტობა ქალაქებში სოციალურ ევკლასიანთავის სასარგებლოა, გარდა მიწის მოვლობათა სულ მტირე ჯგუფისა, მაგრამ ტოფილისში ეს ჯგუფი თითქმის სულ სომხობას, და რიცხვითაც ტოფილისის სომხები შედარებით დიდს ცროტერტს შეადგენს.

ამიტომაც ვერმიშვეის მოხსენებას ჩვენ ვამხნვეთ უმთავრესად სომხურ ეროვნულ ინტერესების ზედგავლენას. თუ ასე არა, შეუძლებელია მივიღეთ იმავე დასკვნამდე, რა დასკვნამდეც მივუყვართ ვერმიშვეის არითმეტიკას. ავტორი ცდილობს ციფრებით დასაბუთოს ქალაქის ადგილების გაყიდვის სარგებლობა. მისი აზრით, თითოეული ოთხკუთხი საყენი ქალაქის მიწისი იდევეა იჯარას 18,4 კაპ., დასაფასებულ გარდასხხად 2,5 კ. სული 20,9 კაპ., ქალაქის დახარჩენ ტერიტორიიდან კი მარტო დასაფასებელი გარდასხხადი შემოდის თითოეულ ოთხკუთხ საყენზე სულ მტირე 26 კაპ. ეს იმის მიხეცხად, რომ მოიჯარადრეს არ შეუძლიან, საადგილ-მამულა კრედიტით ისარგებლოს და, გარდა ამისა, თვით ხალხის უფლებებრივი თვითშეგნებაც ეწინააღმდეგება სოციალურ მუნიციპალიზაციას და ემხრობა კერძო საკუთრებას. მოიჯარადრეს საშუალებაც რომ ჰქონდეს,



სურვილი არ აქვს რაიმე ხარჯი გასწიოს ცო-
ტად თუ ბევრად შემოსავლიან შენობების სას-
კებად. მიწების გაყიდვის შემდეგ კი, მომ-
ხსენებელის აზრით, ეხლანდელ ქალაქის ად-
გილებზედაც გაშენდება ისეთივე ძვირფასი
შენობები, როგორცაა ქალაქის დასავლეთ ტე-
რიტორიაზე და ამით მარტო დასავლეთელი
გარდასახადი გადაიღება სულ მცირე 26 კ.
ათხუთხს საყენზე. ადგილის ფასად კი, სა-
ყენი 3 მ. და 68 კაზ. რომ გაყიდვით, იმ-
დენს ავიღებთ, რომ 5⁰/₁₀₀-ად გასესხებოდაც,
18,4 კაზ. სარგებელს მივიღებთ. ამ გვარად
ჩვენ გვექნება 44,4 კაზ. შემოსავალი თითოეულ
საყენზე და 3 მ. და 68 კაზ. ნაღდი ფუ-
ლი ხელუხლებელ თანხად, ნაცვლად დღევან-
დელის 1 ოთხკუთხს საყენის ქალაქის საკუთ-
რება მიწის და 20,9 კაზ, შემოსავლისა.


ამ გვარად საკითხის დაყენება ჩვენ დიდ
შეცდომად მიგვაჩნია. მართალია, მეტწილად
ბუჭგალტერიის მითხროვს რომ უფველ-გვარს
ქონებას განკერძოებული ანგარიში ჰქონდეს,
მაგრამ იმავე ბუჭგალტერიის მითხროვნილე-
ბამ, რომ ასეთი კერძო ანგარიშების შედეგ-
ში შეკრებილ იქნეს მთელი ქონების, მთელის
წარმოების წაგებ-მოგების მიმდინარეობის გა-
შლისაკვლევად. თვითმართველობის ორგანიზაც
თავის პრაქტიკულ მოქმედებაში თვითმართვე-
ლობის უმთავრესს მიზნით — მოქალაქეთა
საერთო კეთილდღეობის მოხმარებით უნ-
და ხელმძღვანელობდეს. და ქალაქის ხელში
მიწის საკუთრების გაფართოება ერთი საუკე-
თის საშუალებათაგანია ჯანმრთელობისათვის
მავნე ზიარების შესამცირებლად. ეს ნათლად
ჩანს ვერმიშევის მოხსენებთან მე-3 დამატე-
ბიდანაც, სადაც მოყვანილია კომისიის გამო-
კვლევა ხადალდევის და ლოტკის გორის
მცხოვრებთა შესახებ: „ათასობით მუშა ხელ-
ნი ამოძვრა ბნელ და ნოტიო სარდ ფებიდან,
—სწერია იქ, —და ვრცლად გაიფანტა ბედ-
ობით შემკულ 2—3 ოთახიან სახლებში. ქა-
ლაქისა ან რეინის გზის წყლის საჭაჩავ აუზი-
დან რომ გადახედვით ნადავადვეს, უნებურად
განცვიფრდებით სივრცისა და მტყნარების

სიუხვით მოიჯარადრეთა სახლებით მოთვნილ
სივრცეზე. ეს მით უფრო სასურველია რაიმე
აქვე ქალაქის ადგილების მეზობლად, განს-
კუთრებით რეინის გზის დასავლეთის კადმოლ-
მა, ამართულია ბუშბერაზი სახლები-უეთები
უჭეროდ და უსინათლოდ, მრავალ-რიცხოვანის
მდეურებით; საკმარისია დავასახელოთ ბაბა-
იაკობის, სარქისოვის, მინაიუვის და სხვა-
თა სახლები, რომლებიც წარმოადგენს უმაღ-
ლეს წერტილადვე ასულს ანტიანტიტარულს
მდგომარეობას: ზოგიერთ მათგანში ოთხსაშ-
მდე სული სცხოვრობს“)

ესაა ვინაობა, რას გვეუბნება ის მშრალი
ციფრები, რომლებიც მოყვანილია ზემოთ
მოხსენებულს შრომაში. ქალაქის მიწებზე
რომელთა სივრცე ნახვებია 67644 ოთხ.
კუთ. საყ., მცხოვრები უფილია 2582 სული
ე. ი. თითოეულ სულზე მოდის 26,198
ოთხკ. საყენა. ვერმიშევის ციფრების თანხ-
მად, თითოეულ საყენზე რომ 20,9 კაზ. საი-
ჯარო და დასავლეთელი გარდასახადი ვინგა-
რიოდ, 26,198 საყენზე ანუ სულზე შესდგე-
ბა 20,9 კაზ. $\times 26,198 = 547,54$ კაზიკი.
მომხსენებლისავე ცნობებით, ტფილისის ორ-
სი ათას მცხოვრებს გაუშენებია ტერიტორია
სივრცით 1,743176 ოთხკუთხი საყენი ანუ
თითო სულს საშუალოდ 8,7 ოთხკუთხი საყენ-
ნი. ეს ტერიტორიაც რომ ქალაქის საკუთ-
რება უფილიყო და, ვერმიშევის მოსაზრე-
ბის თანხმად, ქალაქს გაუფიდა, მისგან დღე-
ვანდელი შემოსავალი იქნებოდა 18,4 კაზ.
ადგილის ფასის ⁰/₁₀₀ და 26 კაზ. დასავლეთე-
ლი გადასახადი, თითოეულ ოთხკუთხს სულ 44,4
კაზ. თითოეულ ოთხკუთხს საყენზე და 8,7
ოთხკუთხს საყენზე ანუ სულსე $8,7 \times 44,4 =$
 $386,28$ კაზ., ე. ი. თითოეულ სულზე 161,
26 კაზიკით ნაკლები, ვიდრე ზირველს შემ-
თხვევაში. ა. მინაილავისკის იმავე 1905
წელს დაბეჭდილ გამოკვლევათ⁴), ტფილისის

3) Приложение 4 къ 22 тому Докладовъ
339-го 27.

4) А. Михайловскій, Бюджеты русскихъ
городовъ (статья 3-я) №21—23 Известія
Московской гор. Думы 33, 31



უკვდა ხარჯები უდრდა 1,212 ათასმანეთს, სულზე 7 მან. და 54 კან. ამითუან გამშვი-ნიერებისზე იხარჯებოდა მხოლოდ 1 მან. და 15 კან. რაც უდრის $15,252\%$ მთელი ხარჯებისს. თუ ჩვენ ვერმიშვივის თანხმად, ტფილისის მცხოვრებთა რიცხვს 200000 ვიანგარიშებით, თითოულ სულს მოუწევს საერთო ხარჯი 6 მან. და 6 კან., გარეგან გამშვიენიერების ხარჯი კი—92,427 კან. თითოულ სულს და 8,7 ოთხკუთხ საყენ გამშვიებულ ტერიტორიას, ე. ი. 1 სულს და 1 საყენ ტერიტორიას—10,623 კან. ესა, თუ ვერმიშვივისებურად, ჩვენ წარმოვიდგინოთ მთელს ტფილისის ნაძლადგვსავით ფართოდ გამშვიბულს, მას დასჭირდება სამჭერ უფრო ვრცელი ტერიტორია, მაგრამ, სამაგიეროდ, თითოულ მცხოვრებელს მივიღებთ 61,26 კან. შეტს გადასხადს და შეიძლება გვექნება ქალაქის გასამშვიეიერებელი ხარჯებიც ამდენითვე გავადიდოთ. ტერიტორიის სივრცე კი თითოულ მცხოვრებელზე იქნება 26,198 ოთხკუთხი საყენი და ამის გასამშვიენიერებლად შეგვიძლება დავხარჯოთ 92,417+161,26 კან. =253,687 კან. ანუ თითოულ ოთხკუთხ საყენზე 9,683 კან. ვიქნები. ვფიქრობ, განუზარტებლადც უკვლასათვის ადვილი მისახვედრი უნდა იყოს, რომ ქალაქის ტერიტორიის თითოულ ოთხკუთხი საყენის გასამშვიენიერებლად დახარჯული 9,683 კან. გაცილებით უფრო ნაყოფიერი იქნება, ვიდრე 10,623 კან. დახარჯული კერძო შესაკუთრება ტერიტორიაზე, რადგან უკანასკნელთა ინტერესები

ხშირად ეწინააღმდეგება ქალაქის რაციონალურ გამშვიების სისრულეში მოყვანას. ამრიგად, ავტორის ციფრებით განხილვაც აშკარად გვიმტკიცებს ქალაქის მიწების თვითმართველობის საკუთრებათაუ დატოვების სარგებლობას აწყოშიდაც კი, მიუხედავთ რუსულ კანონმდებლობის მიერ საადგილ-მამულო საკითხის უფლორივ მოუწარიგებლობისა.) მერმისათვის კი ამის სარგებლობა ხომ კიდევ უფრო დიდია. არგუთინსკის გამოკვლევათ⁹⁾ ტფილისში მიწების ფასი 12 წელიწადში გაორგვეტებულა. ამის მიხედვით, ის ოთხკუთხი საყენი, რომელიც ესა ტფილისში 3 მან. და 68 კან. ფასობს, სამოცი წლის შემდეგ 117 მან. და 76 კან. ედირება 3 მან. და 68 კან. ვიქნების 5% -ად გასესხება-კი ამდენსაკე თანხის მხოლოდ 71 წლის შემდეგ მივიღებთ და იმასაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ 71 წლის განმავლობაში სარგებელს კი არ დავხარჯავთ, არამედ ყოველ წლის ბოლოს თავის წარუმატებლად და სარგებელსაც ვასარგებლებთ.

ამით ვათავებთ ტფილისის საადგილ-მამულო პოლიტიკის დაფასებას და შემდეგ წერილში შევეხებით ჩვენს ტურფა ქუთაისს.

9) მხოლოდ შარშან მიიღო სათათბირომ ვაშენების უფლების (право постройки) პროექტი და მისი დაკანონებით, უნდა ვიფიქროთ, საადგილ-მამულო საკითხში მნიშვნელოვანი მოწესრიგება შევა, ბ. ა.

9) А. Аргутинский: „Муниципальные земли Тифлиса“ გვ. 47.




სურათი.

კიკნა—ფშაველი.

სუსხავს... ცივა... ქარი დაჰქრის,
არე-მარე დაღვრემილა;
ბუჩქსა თავი ჩაუქინდრავს
ველი თეთრად გაპენტილა.

ტყე ირყევა სევდიანად,
მთისა მწვერვალს ნისლი ჰბურავს;
დადავ, კოცნით ამოვიშრობ
ცრემლს თვალიდგან მოსაწურავს!..



განსაკუთრებული ღირსება განსვენებულის დეკანოზის დავით დამბაშიძისა

ი. გოგებაშვილი

მოულოდნელად და უცებ გარდაცვალებული დეკანოზი დავით დამბაშიძე მოშორებული იყო ერთს ძირითადს ნაკლს ქართველებისას და ამ მხრივ მას შეიძლება დავარქვათ ანტი-ქართველი.

რასი მდგომარეობს ეს მთავარი ნაკლი ქართველებისა? ქართველი ბევრს ფიქრობს, ბევრს ლაპარაკობს, ბევრზე ოცნებობს; მაგრამ ფიქრი ფიქრად რჩება, სიტყვა საქმედ არ იქცევა, ოცნება იოტის ოდენადაც არა ხორციელდება. ჰხდება ეს იმის გამო, რომ ქართველების გონებას არ ახ-



ლავს, გვერდში არ უდგია, ნება, უნარი, წადილი. ამისი პირდაპირი შედეგი ის გახლავთ, რომ ბევრი ნიჭიერი ქართველის ცხოვრება ამაოდ მიდის, გაჭირებულს სამშობლოს არასფერს არგებს, სიკეთის კვალს არა სტოვებს და სიკვდილის შემდეგ მისი სახსენებელი ისე ქრება, როგორც შარშანდელი თოვლი.

ამ ჩვენის ძირითადის სენის წყალობით, ცხოვრება ჩვენი ემგზავსება არა

შეუპოვრად მიმავალს მდინარეს, არამედ ჭაობსა, სადაც გამეფებულია სულთამხუთავი ატმოსფერა.

განსვენებული დეკანოზი ამ მხრივ ერთს შესანიშნავს გამონაკლისს წარმოადგენდა. მისთვის მადლიანს ბუნებას დაენათლებინა დაუცხრომელი უნარი, ძლიერი წადილი, აქტიური ნება. ამის გამო ყოველი მისი სიტყვა საქმედ იქცეოდა და ყოველი წადილი ხორციელდებოდა. მის აზრსა და საქმეს შორის მანძილი თითქმის არ არსებობდა. სწორედ ამ იშვიათის ღირსების შედეგი იყო ისა, რომ მან, უბრალო სოფლის მღვდელმა, კარგად და სასარგებლოდ აწარმოვა მთელის ოცდა ხუთის წლის განმავლობაში შინაარსიანი ჟურნალი „მწამისი“. გამოსცა ბევრი, ძალიან ბევრი წიგნაკი სარწმუნოებრივის შინაარსისა, ფრიად სასარგებლო კარაბადანები მოჰფინა იგინი ხალხში და შეავსო სასულიერო სამკურნალო მწიგნობრობა.

ნიჭით ბევრი ქართველი მოძღვარი არ დაუვარდებოდა განსვენებულს, ზოგს მაღალი სასწავლებელიც ჰქონდა დასრულებული; მაგრამ მთელს ამ კრებულს იმდენი არ გაუკეთებია სამღვდელოებისა და ხალხისათვის, რამდენიც მოახერხა განსვენებულმა. და არ გაუკეთებია იმის გამო, რომ უნარს მეტ-ნაკლებობით მოკლებული იყო და არის. ტყუილად კი არა სთქვა ფილოსოფოსმა შოპენჰაუერმა; ქვეყნიერება ნებააო. ამითი მან აღიარა უპირატესობა ნებისა, ენერჯისა, წადილისა, უნარისა.

განსვენებული დეკანოზი დარწმუნებული იყო, რომ ხალხი, სარწმუნოებას მოკლებული, იხრწნება ზნეობრივად, უკან უკან მიდის, ვარდება პირუტყვეულს მდგომარეობაში და გადაშენების გზაზე სდგება. ამავე დროს მას კარგად ჰქონდა შეგნე-

ბული, რომ სარწმუნოება, როგორც სფერო გრძნობისა, ხალხსა და საზოგადოებაში მხოლოდ დედა-ენის შუამავლობით შეიძლება გაძლიერდეს. ეს თავისი რწმენა მან განახორციელა არა მარტო მრავალი წიგნაკების გამოცემით, არამედ აი როგორის განსხვავებული საქციელითაც:

როცა ყვირილაში გახსნეს ნორმალური სკოლა და საღმრთო სჯულის სწავლება ჩააბარეს მამა დავითსა, იმან, რასაკვირველია, ქართულს ენაზე დაუწყო სწავლება ბავშვებსა. მთავრობამ გამოუცხადა: ნორმალურის სკოლის პროგრამა ყველა საგნების გარდაცემას მოითხოვს რუსულს ენაზედაო და თქვენც ამ ენაზე უნდა ასწავლოთო. მან უპასუხა: ეგ მოთხოვნა შეეხება საერო საგნებსა და არა საღმრთო რჯულსა, რომელსაც ყველა ერს, რუსეთის საზღვრებში მოქცეულს, ყველა სასწავლებელში ასწავლიან დედა-ენაზედაო; რაც ყველა სხვა ხალხს, ქრისტიანსა და არა ქრისტიანსა, მინიჭებული აქვს მთავრობისაგან, ამას რად უნდა იყოას მოკლებული მართლ-მადიდებელი ქართველობაო. რუსულს ენაზე სწავლება საღმრთო-სჯულისა ტანჯვა-წვალება იქნება ჩემთვისაც და მეტადრე ბავშვებისათვისო და მათში დათრგუნავს და ამოფხვრავს იმ გრძნობასაც სარწმუნოებისას, რომელიც შეუთვისებიათ ოჯახშიო. ან ნება მომეცით ქართულად ვასწავლო და ან დამითხოვეთ თანამდებობიდანო.

დაითხოვეს, და ეს საგანი ჩააბარეს სხვა მოძღვარსა, რომელიც, ჯამაგირის გული-სათვის, მუნჯურის ენით სტანჯავდა ბავშვებს საღმრთო სჯულის გაკვეთილებზე და უხშობდა სარწმუნოებასაც და გონებასაცა.

ეს სამწუხარო მოვლენა თავის დროზე ქართულს პრესაში ჩვენ აღვნიშნეთ საქირო განმარტებით. და იგი მოხსენებულია ერთს ჩემს წერილში, რომელიც დაბეჭდილია ჩემს „რჩეულს ნაწერებში“.

ახლა, მკითხველო წარმოიდგინე, რა მოხდებოდა, თუ მამა დავითს მუნჯურთ გამოეჩინა მის მაგივრად მოწვეულ მღვდელსაც და ამ ორთა მაგალითისათვის ყველა ქართველს მღვდელს მიებაძნა და უარი ეთქვა საღმრთო სჯულის სწავლებაზე მუნჯური ენით? მოხდებოდა ისა, რომ ახლა მთელს საქართველოში გამეფებული იქნებოდა ქართულს ენაზე სწავლება საღმრთო სჯულისა ყველა სკოლაში, დაბალში და საშუალოში, და ეს ცვლილება აი რა გვარს სიკეთეს შესძღვნიდა ჩვენს სამშობლოსა.


პირველად, ქართველ ბავშვებში განვითარდებოდა სარწმუნოებრივი გრძნობა, რომელიც, ახლად განსვენებულის ლევ ტოლსტოის აზრითაც კი, საუკეთესო საფუძველი და საძირკველია წმინდა ზნეობრივი ცხოვრებისათვის, რომლის გარეშე ხალხი, მეტადრე მოკლებული ნამდვილს ცოდნას, ადვილად მიეცემა გაზრწნილობასა;

მეორედ, ბლომად შესდგებოდა საღმრთო სჯულის სახელმძღვანელოები ჩვენს ენაზე და იმატებდა სასულიერო ლიტერატურა.

მესამედ, ყველა საშუალო სასწავლებელში ერთი საგანი მაინც ისწავლებოდა დედა-ენაზე და ეს ძლიერ დაენმარებოდა ქართულის ენის და წიგნის შესწავლასა, რაშიაც ეხლა ჩვენი მოზარდი თაობა ძლიერ კოჭლობს.

მეოთხედ, დაარსდებოდა მრავალი კათედრა ქართულის საღმრთო სჯულისა, ჩაბარდებოდა ქართველს მოძღვრებსა, რომელნიც, ჯამაგირით მოღონიერებულნი, ისე მიიმე ტვირთად აღარ დააწვებოდნენ თავის სიღარიბით ილაჯ-გაწყვეტილს მრევლსა.

მეხუთედ, ქართველობა ამ მხრივ მაინც გაუთანასწორდებოდა სხვა ერებსა, დაბალი და დაბრიყვებული ღობის მდგომარეობიდან გამოვიდოდა და მოიპოვებდა უფლებასა, რომელიც ჩამოერთვა მას; წინააღმდეგ ყოვლის სიმართლისა.



მაგრამ მამა დავითის უნარი არავინ გამოიჩინა და უსამართლობა ხელ უხლებელი დარჩა.

ახლა ვიკითხოთ, როდემდინ უნდა ვიყვნეთ ამ მდგომარეობაში? ეს დამოკიდებულია ჩვენს სამღვდელოებაზე, ქართველ მღვდელ-მთავრებსა და მოძღვრებზე. თუ ეს დაშინებული კრებული გამოიჩენს ცოტაოდენს შეერთებულს უნარს, მას შეუძლიან ადვილად

მოიპოვოს კანონიერის გზით. ზევით განმარტებული უფლება საღმრთო სჯულის სწავლებისა ყველა ჩვენებურს სასწავლებელში დედა-ენაზე. ჩვენ ასე ვფიქრობთ და ვმსჯელობთ იმის გამო, რომ ეხლა მაღალი მთავრობაც კი როგორც სასულიერო, ისე საერო, იმ აზრზე სდგას, რომ საღმრთო სჯულის სწავლება ყველა **ინოკრატების** სკოლებში დედა-ენაზე უნდა სწარმოებდესო.

ბრეტონური სახალხო პოეზია.

(ფ რ ა ნ გ უ ლ ი დ ა ნ)

თარგმანი. ა. სარაჯიშვილი.

საქორწინო სიმღერები.

ქალის თხოვნა.

სასიძლას მოციქული.

სახელითა ყოვლად-ძლიერისა მამისათა, ძისათა და სულისა წმინდისათა, კურთხევა ამ სახლსა და სიხარული იმაზედ მეტი რაც მე მაქვს.

სასიძლას მოციქული.

მერე რა დავმართვია, მეგობარო, გული მხიარული რომ არა გაქვს?

სასიძლას მოციქული.

სატრედოს ერთი დედალი ტრედი მყავდა თავის მამალით. ვნახოთ, გრიგალსავით დაეცა კირკიტა, დამიფრთხო დედალი ტრედი, და ახლა არ ვიცი სად გადამეკარვა.

სასიძლას მოციქული.

გულ დამწვარს თითქო არ ჰგეგხარო, ისე გამოპრანჭულხარ; ეგ ქერა თმა დაგივარცხნია, თითქო საცეკვაოდ მოსულხარო.

სასიძლას მოციქული.

ნუ დამცინი, ჩემო ძმაო. ჩემი პატარა თეთრი ტრედი ხომ არ გინახავს? სანამ ჩემს პატარა ტრედს არ ვიპოვი, ამ წუ-

თისოფელში ბედნიერ დღეს ვერ მოვესწრები.

სასიძლას მოციქული.

არც შენი პატარა დედალი ტრედი მინახავს, არც შენი თეთრი მამალი.

სასიძლას მოციქული.

სტყუით, ყმაწვილო, მეზობლებს ენახათ, შენს ეზოსკენ მოფრენილიყოს და შენს ხილნარში ჩამჯდარიყოს.

სასიძლას მოციქული.

არც შენი პატარა დედალი ტრედი მინახავს, არც შენი თეთრი მამალი.

სასიძლას მოციქული.

თეთრი მამალი მომიკვდება, თუ თავისი ტოლი არ ვუპოვე, მომიკვდება საწყალი ჩემი მამალი. აბა ერთი კარის ტიქრიტანაში შემახედვინე.

სასიძლას მოციქული.

დაიცა, ძმობილო, ვერ შეხვალ. მე თითონ წავალ და ვნახავ. (შევა სახლში და ერთი წუთის შემდეგ გამოვა). ბაღჩაში ვიყავი, ძმობილო, მაგრამ ვერ ვნახე დედალი ტრედი. იმის მაგიერ მრავალი ყვავილი ვნახე, ასკილა და იასამანი და შე-



ტადრე ერთი პატარა ლამაზი ვარდი, ლობის კუნჭულში გაფურჩხნილიყო. მოგიტან, თუ გინდა, შენის გულის სალხენად. (შევა მეორედ სახლში და გამოიყვანს პატარა ქალს).

სასიძლას მოციქულაი.

მართლა და, უცხო ვარდია, ლამაზი და გულის მალხენელი! ჩემი ტრედი რომ ცის ცვარი ყოფილიყო მაგას დაეცემოდა, (ცოტა ხნის შემდეგ). ავალ, ვნახავ ბედელში*), იქ ხომ არ შეფრინდა ჩემი დედალი ტრედი.

სასიძლას მოციქულაი.

ერთს წუთს დაიცა, ძმობილო, მე თითონ ავალ და ვნახავ. (შევა სახლში და გამოიყვანს დიასახლისს). ვიყავ ბედელში, მაგრამ ვერ ვნახე დედალი ტრედი. მხოლოდ ეს ერთი თავთავი ვიპოვე, კალოზაში დავიწყებოდათ. ქედში ჩაირქე, თუ გინდა, შენდა სანუგეშებლად.

სასიძლას მოციქულაი.

რამდენიც მაგ თავთავს მარცვალი ასხია იმდენს იბარტყებს ჩემი დედალი ტრედი. თითონ ბუდეს შუა წყნარად იჯდება, ბარტყებს ფრთებს ქვეშ შეისხამს. (ცოტა ხნის შემდეგ) წავალ მინდორში მოვნახავ.

სასიძლას მოციქულაი.

დარჩი, ძმობილო, ნუ მოხვალ, მაგ კოხტა წაღებს გაისვრი. შენ მაგიერ მე წავალ. (შევა სახლში და გამოიყვანს ბეზიას). დედალი ტრედი ვერ ვპოვე ვერას გზით. ამ ვაშლის მეტი ვერა ვნახე რა. ეს ვაშლი, დიდი ხნის დაღმეკილი, ხის ძირს ფოთლებში მგდარიყო. ჩაიდე ჯიბეში, წაიღე, აქამე შენს მამალს ტრედსა და აღარ იტირებს.

სასიძლას მოციქულაი.

მადლობელი ვარ, ძმობილო. დაღმეჯილ ვაშლს სუნი არ დაეკარგება, მაგრამ რას ვაქნევ შენს ვაშლსა, ან ვარდსა, ან შენს თავთავსა? მე ჩემი პატარა დედა-

*) საფრანგეთში ხორბალს ჩარდახში იწახავენ.

ლი ტრედი მინდა. წავალ, ^{მეტირებელი} მოვძენი.

სასიძლას მოციქულაი.

ღმერთო, ეს რა ეშმაკი კიცი ყოფილ მოდი, ძმობილო, წამომყევ. შენი დედალი ტრედი არ დაკარგულა. მე თითონ შეგინახე ჩემს ოთახშია, ოქროს გალიაში იქა ზის მხიარული და სანდომი ლამაზი და მორთული.

(სასიძლოს მოციქული შევა სახლში, ერთს წამს მიუჯდება მაგიდას, მერე ადგება და მოიყვანს სასიძლას. ეს რომ შემოვა სიამარი მისცემს ცხენის სართავს, რომელსაც სასიძო სასიძლოს წელზე შემოართყავს. სანამ სასიძლოს შემოართყვენ და მოხსნიან სართავს, მისი მოციქული მღერის შემდეგ სიმღერას):

II

სარტყელი.

კორდზე ვნახე ფაშატი მოულალავი. კეთილის მეტი გულში არა ედო რა, მხოლოდ ცელქობდა, სძოვდა მწვანე ბალახსა და სვამდა წყაროს წყალსა.

გზაზე მოდიოდა ერთი ჭაბუკი, ისეთი თვალადი!

ისეთი თვალადი, ისეთი ტანადი, ისეთი კისკასი! ოქროსა და ვერცხლში ჩამჯდარი. ფაშატმა რა ნახა ჭაბუკი, გაჩერდა განცვიფრებული:

მერე მივიდა წყნარადა, ლობზე გადო კისერი.

ჭაბუკმა მიუაღერსა, თავი დაადო თავზედა, მერე აკოცა, ფაშატსაც მეტად ეამა;


მერე ამოსდო აღვირი, მერე მოუჭირა მოსართავი.

III

სუფრული.

— პლევენის მღვთისმშობელო! დღე და ღამ, და დილასაც, როცა ვდგები, ჩემის სატრფოს ბუხარს შევცქერი.

შევცქერი კომლსა ჩემის სატრფოს ბუხრიდან ამომავალსა, ჩემის კეკლუცის სა-



ტრფოსი, რომელმაც ესოდენი ჭირი მო-
მაყენა. უნდა წავიდე იმასთან, ერთი კი-
დედ მოველაპარაკო.

იმ დილას ლოიზაიკ ალან*) თავის ძრო-
ხებს ღიღინით მიერეკებოდა; ძროხები
რომ ახალ კორდზე მოჰყვანდა, ლოიზაიკ
ალან მხიარულად მღეროდა.

თეთრი თავსახურავი აეწია; ლურჯ-
თვალეზიანსა, თმა-ქერასა, ლოყები ნა-
კვერჩხალის ყვავილსავით გასწითლებოდა;
ყველა მოარშიყები ქალს არაფრად მიაჩნდა

ღობეზედ შემდგარიყო და ძროხებს
ჭიშკარს უღებდა, როცა ნახა პიარიკ,
მისი არშიყი, ორღობეში მომავალი.

პიარიკ.

ჩემო სატრფოვ ლამაზო, თქვენსა მოე-
დივარ, მინდა გითხოვო ცოლადა. მომეც
სასურველი პასუხი, როგორიც ერთხელ
დგდა შენმა უთხრა მამა შენს.

ლოიზაიკ.

გეტყვი, ყმაწვილო; რახან ეგრე ზრდი-
ლობიანად და პატიოსნად მთხოვ. არ მი-
ნდა შენი მოტყუება. ამ ხუთშაბათს არის
ჩემი ქორწილი.

სოფლის მოედანზე მუშები მიყენია,
სტუმრებისთვის ტაბლებსა და სკამებს ამ-

ზადებენ, ამ ხუთშაბათისთვის.

ხუთშაბათს არის ჩემი ქორწილიც. მინდა
მოსულხარ, სხვამ დანერგა ჩემს ბაღჩაში
სიყვარულის ყვავილი.

პიარიკ.

მე დავნერგე შენს ბაღჩაში სიყვარუ-
ლის ყვავილი, შენ კი ამოგლიჯე და ახ-
ლა დამქანარა; მაგრამ არ დამქანარა ჩე-
მი გული.

მაინც მუდამ მიყვარხარ; დღე და ღამ
გულში მიზიხარ, შენი სუნთქვა კარის
ჭიჭრიტანით შემოდის და ძილს მიკრთობს.

ორმოცდაათი ღამე შენს კარზე გამითე-
ნებია, შენ კი არა გიგრძენია რა; ქარი-
შხალს ისე უცემივარ, წვიმა წურწურით
ჩამომდიოდა.

სამი წყვილი წალა გამიცვეთია, ჩემო
სატრფოვ, შენს არშიყობაში; ეს მეოთხეა,
და შენი უკანასკნელი სიტყვა მაინც არა
მაქვს.

ლოიზაიკ.

თუ ჩემი უკანასკნელი სიტყვა გინდა,
აჰა, ყური დამიგდე: სამი გზა მიდის შე-
ნის სახლისკენ, ერთ-ერთს გაუდგე და
ხუდარ მოხვალ.

* *

წამოვიდა გულ-მოკლული პიარიკ: „არ
ყი მინდოდა მომეკრიფა, ხელში კი ტყის-
თხილი შემეჩაო“.

*) ქალის სახელიდა გვარი.

„ნიღოზის ძღვენი“.

დ. კილოსანიძე.

(გაგრძელებს)

ფევიპტეს ტაძარი, რაც უნდა უბრა-
ლო ყოფილიყო, ოთხს ნაწილად იყოფე-
ბოდა. შესავალს იქით იმყოფებოდა ოთხ-
კუთხი უჭერო ეზო დახურულს გაღერეე-
ბით შემოფარგლული. ამ ეზოდან რამდე-
ნიმე საფეხური მიდიოდა ტაძრის მეორე
ნაწილში, რომელიც ფართო დარბაზს
წარმოადგენდა, ეგრეთ წოდებულს „ლო-
დინის დარბაზში“; ამ დარბაზის ჭერი
დაყრდობილი იყო ქვის სვეტებზედ (კო-


ლონა). ეს ნაწილი ნაკლებათ ნათდებოდა
ან ჭერში დატოვებული ღია ადგილიდ-
გან, ან უჭერო ეზოს ღია კარებიდგან.
ამ დარბაზის შემდეგ იყო მესამე სულ
მთლად ბნელი ნაწილი ტაძრისა—წმიდა-
თა წმინდა, რომელიც თავისათ სამი
ოთახიდან შესდგებოდა; შუალა ოთახში
იდგა გრანიტის კვარცხლბეკზედ რომელი-
მე წმინდა, — ღმერთის ქანდაკება. ამ
წმიდათა წმიდანის შემდეგ იმყოფებოდა

მეოთხე უფრო ბნელი ოთახი, სადაც ინახებოდნენ ღმერთმსახურების კუთვნილებანი. კედლები შიგნით და გარეთ, ჭერი, სვეტები სავსე იყო ღმერთების და ფარაონების ნახატებით და საიდუმლო წარწერებით სხვა და სხვა ფერადებით, რაც ერთათ დიდს ხალსა ჰგავდა. სვეტები ეგვიპტურს ტაძარში უმთავრეს ელემენტს შეადგენენ! ყოველს ჭერს აუცილებლათ სვეტები უნდა ჰქონიყო შედგმული. თუმცა ეგვიპტელებმა იცოდნენ თაღების კეთებას, მაინც ამ ნაირს შენებას როდი მისდევდნენ, ალბათ იმიტომ, რომ ან ამ გვარს თაღებს ღირსეულათ არა სთვლიდნენ, ან და იმიტომ, რომ მრავალ სვეტიანი ტიპი ტაძრისა, როგორც უძველესი, სავალდებულოთ გადაიქცა. რაკი სვეტებზედ ვლახარაკობთ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ კოლონადა კარნაკის ტაძრის „ლოდინის დარბაზში“, რომელსაც სივრცით უჭირავს 1400 ოთხკუთხი საყენი; ეს კოლონადა უდიდესია ხუროთმოძღვრების მსოფლიო ისტორიაში. ეგვიპტელს მხატვარს აზრათ არ მოსვლია შეექმნა ორდერები, როგორც ეს ბერძნელებმა ჰქმნეს, თუმცა მათმა ბოძებმა და სვეტებმა ძალიან გაუსწრეს წინ უბრალო ქვის ბოძს: იმათა აქვსთ დამთავრებული ნაწილები: კაპიტელი (თავი), ღერი ანუ ფუსტი და ძირი (ბაზისი). ყველაზედ გძელი შუა ნაწილია ღერი; ისა სდგას დაბალს, მრგვალს ძირზედ, ბოლო კი—კაპიტელია. მხატვრული თვალთა ხედვის ისრით მეტი ყურადღების ღირსი კაპიტელია, რომლის გალამაზებაში, ორნამენტაციაში, უმთავრესი ადგილი უჭირავს ეგვიპტურს ფლორას—ლოტოსს, პაპირუსს და პალმას: ნილოსის ლოტოსი კოკორის ან გაშლილი ყვავილის სახით, პაპირუსის თავთავი, პალმის გვირგვინი, აი ეს იყო კაპიტელის მოტივები, რის შესაფერადაც კეთდებოდა თვით სვეტის ღერიც, რომელიც ან ღერწმის კონას წააგავდა ან პაპირუსის ღეროს, ან კიდე პალმისას;

თუმცა უფრო ახლათ აშენებულს ტაძრებში კაპიტელი გალამაზებული იქნებოდა ღმერთი ქალის გატორის თავით. იმისდა მიუხედავათ რომ ეგვიპტელი ხუროთმოძღვარი ძალიან ცდილა მთელი თავისი მხატვრული გემოვნება ამ სვეტებში გამოეხატა, მაინც იგი თავის ხელმოკლეობას იჩენს: ხშირად მისი სვეტები მოკლებულნი არიან მხატვრულს აზრსა და დამთავრებას. რადგან სვეტების დანიშნულება საზოგადოთ ჭერის სიმძიმის დაჭერაა, მისი თავი ნაწილი—კაპიტელი—ღერძზედ ვიწრო არ უნდა იყოს და ძირი კიდევ კაპიტელზედ წვრილი, (თხელი); ამ პირობას კი ეგვიპტური მხატვარი ხშირათა ჰღალატობს; არც სიმეტრიის გრძობას მისდევს, რასაც ის ამტკიცებს, რომ ერთი დარბაზის სვეტებში მრავალი სხვა და სხვა ნაირი კაპიტელები კეთდებოდა. მაგრამ შეიძლება ეგვიპტური ტაძრები თავისი ნაწილებით მოკლებულნი ყოფილიყვნენ სიმეტრიასა და გარმონიას, ერთიანათ კი მთლათ დამთავრებული ორგანიზმი წარმოედგინათ. არც ამ მხრივ არიან უნაკლონი, რადგან მათ დამთავრება აკლდათ: ეგვიპტურს ტაძარს გაუთავებლათ შეეძლო ზრდა, რისთვისაც მხოლოთ ის იყო საჭირო, რომ რომელიმე ფარაონს ზედ მეტი რწმენა გამოეჩინა. ამ ბედს ვერ ასცილდა ორი დიდებული უფრო თავყანცემული ტაძარი კარნაკისა და ლუქსორისა, რომელთან ფარაონთა გუნება სხვებზედ მეტად გამოსცადეს. ყოველი ფარაონი, ავიდოდა თუ არა ტახტზედ, მოვალეობათა სთვლიდა თავისი საყვარელი ტაძარი გაეფართოვებინა და გაელამაზებინა.

ქ ა ნ დ ა კ ე ბ ა .

ეგვიპტელთა ხუროთმოძღვრობასთან მჭიდროთ იყო დაკავშირებული მათი პლასტიკაც; ეს ორივე ხელ-ჩაკიდებული მიდიოდნენ და ერთად ვითარდებოდნენ, რადგან ორივენი ერთმა და იმავე ფაქტორმა—რელიგიამ—წარმოშობა. ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ პლასტიკას მართლათ ყოფნა როგორც ხელოვნების ცალკე დარგს, არ შეეძლო; იგი წარმოად-




გენდა დეკორატიულს ხელოვნებას და თითქოს მხოლოდ ხუროთმოძღვრებას ეწველებოდა და ემსახურებოდა. ჩვენს დროში მასალა, რომლისგანაც ქმნის მხატვარი, მრავალი და სხვა და სხვა ნაირია; ეგვიპტელი მხატვარი კი მასალათ მხოლოდ ქვასა და ხეს იცნობდა. ხე, როგორც მასალა, ძალიან ძვირათ ფასობდა საშუალო საუკუნოებში, განსაკუთრებით გერმანიაში და საქართველოშიაც, ეგვიპტელთათვისაც ცოტა მნიშვნელობა არა ჰქონდა, თუმცა და ხე ისეთი მასალაა, რომელსაც ადამიანის ფორმების მოქნილობის და სიცოცხლის გარდმოცემა ნაკლებათ შეუძლიან. ეჭვს გარეშეა, რომ მხატვარი განგებ გაუზობდა იმნაირს მასალას, რომელსაც უფრო შეუძლიან ამ თვისებათა გადმოცემა. შეჰქმნა რა ქანდაკება, ეგვიპტეს რელიგია მხატვრისაგან თხოულობდა, რომ მიცვალებულის ქანდაკება მისი მეორე სახე ყოფილიყო, სხვა-ნაირად რომ ვსთქვათ, ფოტოგრაფიულს მსგავსებას თხოულობდა, და ეს მოთხოვნა გასაკვირველი სინიდიისერებით სრულდებოდა კიდევ. როგორც მხატვრისაგან, ისე შემკვეთისაგან, რომელთაც აზრათაც არ მოსდიოდათ მიცვალებულის გარეგნობის იდეალიზაცია. საკმარისია ადამიანმა გადაათვალიეროს რამდენიმე ნიმუში ეგვიპტური პლასტიკისა, რომ იგი ნათლად დარწმუნდეს ამ აზრის სინამდვილეში. პორტრეტის იდეალიზაციის უარყოფა ხაზგასმით ნაჩვენებია ნამ-გოტების, მეფის ტანისამოსის ზედამხედველის, ქანდაკებაში, რომელიც წარმოადგენს მახინჯი შეხედულობის ჯუჯა კაცს: პატარა სქელი ფეხები თითქოს მოჰკაკვია მძიმე და სქელი სხეულის ტარებით, მოკლე და მაგარი ხელები არ შეესაბამებინ განიერ მხარ-ბეჭს. განვითარებული და გაწეული კეფა, კონუსის მაგვარი თავი ამთავრებს ამ მეფის გამოჩენილ კარისკაცის, საკუთარი მასტაბას მქონე ნამ-გოტების მახინჯს,

თითქმის სასაცილო სურათს. ამისგან უნდა ვხედავათ რომ ნამ-გოტები მდიდარიც იყო და გამოჩენილიც, ის მაინც ვერა ჰხედავს მხატვარს მომავალი ცხოვრებისათვის მაინც შეუკვეთოს ცოტა გალამაზებული სურათი, და ვერა ჰხედავს იმიტომ, რომ იმისმა სულმა შეიძლება თავისი სხეული ველარ იცნას და მარტოთ დარჩეს.

ამნაირისავე რეალობითაა აღსანიშნავი პატარა ხის ქანდაკება, რომელიც ბულახის მუზეუმში ინახება და „შეიხ-ელ-ბელედის“ სახელითაა ცნობილი. ეს მთლათ ცოცხალი კაცია გარკვეული ტიპით. ამბობენ, ვითომ ფელახებს როცა ეპოვნათ ეს ქანდაკება, ისე გაკვირვებულიყვნენ ამ ქანდაკებისა და მათი სოფლის მამასახლისის მსგავსებით, რომ მაშინვე ერთხმით დაეძახათ:—ეს ხომ ჩვენი მამასახლისიაო? (შეიხ-ელ-ბელედ ჰნიშნავს სოფლის მამასახლისს). მხატვარს სახეში და მთელს სხეულში ძალიან კარგათ გადმოუცია სიკეთე, რომელიც მსხვილ გარუჯებულ ხალხს შეეფერება. ჯოხზედ დაბჯენილი, ნელა, დინჯად მოდის წინ; სხეული მსხვილი აქვს; დიდი გაბუებული თავი, მოკლეთ გაკრეჭილი თმით, ზის სქელსა და მაგარს კისერზედ და მთლათ ცოცხალსა ჰგავს თვალების მოწყობით: ქუთუთოები გაკეთებული აქვს თხელი ლითონის ფურცლიდგან, გამოწეული მხარე ისე აქვს მოწყობილი, რომ წამწამს წააგავს, თვითონ თვალი კი მინისაგან არის ჩამოსხმული.

თვალების გამომეტყველებით უფრო აღსანიშნავია „მჯდომარე სკრიბის“ (მწერლის) ქვის ფიგურა. ეს ქანდაკება ერთი არისტოკრატის მასტაბაში იპოვნა მარიეტმა და ახლა ლუვერის მუზეუმის ეგვიპტურ განყოფილებას ამშვენებებს. მწერალი იატაკზე მოკეცილი ზის, და ხელში გადაშლილ პაპირუსის ზემოთ ლერწმის ჯოხი უჭირავს. მის გამჭრიახს თვალეში, რომელიც ბატონისკენა აქვს მომართუ-



ლი, გულდასმით ყურადღება გამოიხატება, რომლითაც იგი უსმენს ბატონს ნაკარნახევს სიტყვებს, თითქოს ემინიან დაუწერავი არა გამოძრჩენ-რაო. თვალის კაკალი თეთრი კვარცისაა, მალარის გაკეთებული გარსი ბროლისაგან, *) გუბა და ბაია ბრინჯაოსაგან; ბრინჯაოსაგანვე გაკეთებულია ქუთუთოები და წამწამები. თვალის ამნაირი მოწყობა, რაც მათ გამომეტყველებასა და ბრჭყვიალს აძლევს, იყო სწორეთ მიზეზი, რამაც ფელასები ასე შეაშინა პოვნის დროს. შეშინებულმა ფელასებმა გადაწყვიტეს რომ ამ ქანდაკებაში მავნე სული ბუდობს და მისი დამტვრევა მოინდომეს, მაგრამ მარიეტამ რევოლვერით ხელში გადაარჩინა ეს საყურადღებო ნაშთი ეგვიპტური პლასტიკისა. აქ სანტიერესოა ის გარემოება, რომ ზემოთ დასახელებული ორი ფიგურა თავისი ცოცხალი გამომეტყველებით აღსანიშნავნი იმიტომ არიან, რომ ისინი ბატონების ქანდაკებანი არ არიან, არამედ მოსამსახურებისა, რომელნიც სიკვდილის შემდეგაც განაგრძობდნენ თავისი ბატონების სამსახურს და საიქიო ცხოვრებაშიც თანა სდევდნენ.

პორტრეტულ პლასტიკასთან ერთად ეგვიპტელებს აქვთ იდეური სიმბოლიური პლასტიკაც. მაგალითად, ოჯახურს გრუპებში, რომელიც სასაფლაოებში არის გამოქანდაკებული, მხატვარი განსაკუთრებით აღნიშნავს ქმრის პირველობის, ბატონობის იდეას: ცოლსა და შვილებს

უფრო პატარებს აკეთებს. ამან იდეური პლასტიკის ნიმუშებათ ითვლებიან ხელოვნახსენები კოლოსები, რომელნიც ნილოსის ველის მბრძანებელთა ძლიერების გამომხატველნი არიან. ამ კოლოსთა სიდიდე ხანდახან განსაკვიფრებელია; მაგალითად, ფარაონი ამენგოტე III-ის ქანდაკება სიმალლით 16 მეტრია. აშკარაა, რომ ამნაირი სიდიდით მხატვარს უნდა გამოეხატა ქვეყნიური ღმერთის სიდიადე, განუზღმელი უფლება და ძალა, ვერ გაებდნა მეფის რეალურათ გადმოცემა, როგორც ჩვეულებრივი მომაკვდავისა. ფარაონის ღმერთობის აღნიშვნა მხატვარს რამდენიმე სიმბოლოთი ჰსურდა: ფარაონი ყოველთვის სავარძელში ზის; სახეზედ სიმშვიდე და სიდიადე ეტყობა; თავზედ ერთი და იგივე ჭრელი მოსართავი; წვერი ყოველთვის ერთნაირათ შემუშავებული, როგორც აზირისის ქანდაკებაში; კეთაზედ მეფური ძალის სიმბოლო, ძერის ფიგურა; მარჯვენა ხელში უჭირავს პაპირუსის ხეული, მარცხენა—მუხლზედ უდევს. უფრო შორს წავიდა მხატვარი ქვეყნის ღმერთების ხასიეთების სიმბოლოთი გამოხატვაში. მაგალითად, ღმერთი ტატი—გამოხატულია იბისის თავით, ანუბისი—ძაღლის თავით, აშმონი—ცხვრის თავით. საზოგადოთ ეგვიპტური ღმერთების ქანდაკებანი არა თუ სილამაზეს არიან მოკლებულნი, პირიქით რაღაცა უსიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენენ მაყურებელზედ.

(დასასრული იქმნება).

კოტე მესხს.

იუბილეს გამო ქუთაისში 1911 წ. იანვრის 4-ს წაკითხულ იქმნა ავტორის მიერ.

დ. მესხი.

ოცდაათ წელს იმარხულე, ხვალ-ზეგ „ჩანტრიკოტე!“
მარა მახეგ რაღას შერები,
შენ, ქართველი მსახიობი,

მოგილოცავ დღესასწაულს,
შენს იუბილეს, ძმაო კოტე!
მარჯვე დრო გაქვს—ჩვენნი ქვეყნის
მდიდრებს თუ რამ ჩამოკოტე...



როცა წელში მოიხრები,
როცა მოგედება ობი?!

ვაჰ, თუ მაშინ შეგეხარბოს
მეწვრიმანის ხილის გობი!

სულ ხო ასე არ იქნები:—
ველარ დაძღვევ ბონობარტეს,
პრისხანეთ ვერ გადმოხედავ
ლოჟას, ქანდარას და პარტერს.

ვერც კირვეულს მოარჯულებ,
ველარ დაძღვევ ნერონს, ბაზანს...
ო, რა ბევრი დააკლდება
შენს ღარიბ დახლს და შენს ბაზარს.

მაგრამ ხალხი, ხელ-მოკლე წრე
არ ივიწყებს აქტორთ შრომას...
თუ დიდებმა არ მოგხედონ,
არ მიეცე გულის წყრომას.


მართალია, შენ ეს ხალხურ-ქრისტიანული
ვერ მოგიტანს ლოჟის ფასებს,
მაგრამ, გწამდეს—იგი შენს ღვაწლს
ღირსეულათ დააფასებს.

ყოველ სიმდიდრეს გერჩიოს
ხალხის ძახილი ვაშისა!
რომელ ჩვენ აქტორს ჰქონია
ყოფა მდიდარის ფაშისა?!

არა უშავს: ხან გამოძებნ,
ხანდახანაც იმარხულე,
სანამ შეძლო მშობლურ თეატრს,
სცენას ემოჭირახულე ..

შენ ქოშებით ვერ გაივლი
ამ შრომით ნაძენ გროშითა,
მაგრამ ყველაფერს გერჩიოს—
ხალხი შეგხვდება დროშითა!

12 ამა იანვარს ტფილისის არ-
ტისტიულ საზოგადოებაში გა-
დახდილ იქმნა XXV წლის
არტისტიულ და სასცენო მოღვა-
წეობის იუბილე.



ბენიამინე ნიკულანი.





შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა.

(დრამატული ესკიზი ორ სურათად)

ილია კლუფოტრაძე.

მომხმეღნი პირნი:

თავად ალექსანდრე გოჯასპირიძე, სსმს-სურს გარეშე შეფიქრებული. რუსუდან, მისი მეუღლე.

ნინო, ამათი ქალი.

ფეფელა, ამათი ნათესავი.

მარო, } ნინოს მეგობარი ქალები.
ანჩკა, }

თავ. ელიზბარ ჭავჭავაძე, სსმსსურსში შეფიქრებული.

დომენტი კაპიტონის } მითმ მსწავლულნი
ქარქალაძე. } და დიტკატურნი.
საბა ბანბახაშვილი (კარაკატურები).

მიხაკო, უმაწვიალი კაცი გოჯასპირიძისთან ნათესავი.

ლევანი, უმაწვიალი კაცი (უსიტყვო)

მაშო, გოჯასპირიძისთან მსსმსსურს გოგო. ახალგაზდა ქალ-ვაჟნი, მსსმსსურს მსსსურსნი და მსსმსსურს ბიჭები.

მჭიმედებს სწამებებს ქ. ტფილისში, ჩვენს დროს, ნინოებს დღეს.

მდიდრულად მართული სსსტუმრა და-ბაზი რამდენისაშე კარებით.

პირველი სურათი.

I

რუსუდან, მაშო და მსსმსსურს ბიჭები. (მსსმსსურსები ოთხს ალაგებენ.)

რუსუდან. (გამოდის სხვა ოთხიდან.) აბა, როგორც გითხარით, ისე მოიქცეით... შენ, პავლე, დერეფანში იყავი, არ მოშორდე, სტუმრებს ტანისამოსი ჩამოართვი ხოლმე... (თითქმის მთავრდება რამ.) ჰო, მართლა, ცხვირსახოცი ხომ გაქვს? თორემ — მე რომ შენი გასახმობი ცხვირის ამბავი ვიცი, აქაურობას...

პავლე. გახლავს, ქალბატონო...

რუსუდან. (გოგოს.) მართლა, მაშოკო,

არ დაგავიწყდეს, სტუმრებმა თუ მრავლად მოიყარეს თავი, მაშინ ახალგაზრდებს ხილი ამ ოთახში მოართვი... არა უშავს-რა... უფრო მხიარულად იქნებიან...

მაშო. ბატონი ბძანდებით, ქალბატონო... კნიაჟნამაც ასე გვიბძანა...

რუსუდან. გაათავა ნინომ ჩაცმა? იმას რაღა დაემართა? აქამდის სამი პატარძალი მოირთვებოდა...

მაშოკო. არა, არ გაუთავებია... თავის ოთახში ბძანდება...

რუსუდან. შენ, კიდევ, ივანკო, ოთახებში იტრიალე... ყველაფერს თვალყური ადევნე... მხოლოდ უდრო-უდროოდ ნუ იცი ხოლმე სუნსვლა... თან ბლუდი შემოგაქვს, თანაც ტუჩებს ილოკავ... ხან კიდევ, ღმერთი გაგიწყრება, ჩაყლაპვას ვერ მოასწრობ ხოლმე და ლოყებ გამობერილი შემოდიხარ... აღარ დაგინახო, თორემ სახელს გაგიწყვეტ... ჩხეთქვას ყველანი მოესწრებით, ნუ გეშინიანთ... მე ვიცი, გაკლიათ რამ... აბა, გასწით თქვენ თქვენ ადგილას... მაშოკო, წადი ნინოსთან, უთხარი, ჩაცმა გაათავოს თუ არა, აქ ჩამოვიდეს... (მსსმსსურსები გადიან სხვა და სხვა კარებით).

II

ალექსანდრე. (დიდრან-დიდრანი წიგნებით დატვირთული, ძლივს შემოქეტყვას კარებში). უჰ, სული ამომერთო...

რუსუდან. უჰ, სული ამომერთო... მე ვიცი ქვეყნის საქმეს გააკეთებდი!..

ალექსანდრე. ჰო და რაო? რაც მე წიგნები გადავფურცლე, მე შენ გითხრა — შენ ხარ ჩემი ბატონი, დედამიწაზედ რომ გაშალო, მთელს საქართველოს დაჰტარავს...

რუსუდან. მერე, რა დროს წიგნები,

ადამიანო?! არ იცი, დღეს სტუმრები გყავს! ან რა თავში იხლი მაგ წიგნებს?

ალექსანდრე. აი დედაკაცის ჭკვა!.. როგორ თუ რა თავში ვიხლი? გოგრას ანათლებს, ადამიანო, გოგრას!!

რუსუდან. (გამაჯავრებს.) გოგრას ანათლებს... რაღა განათლება გინდა?! მე ვიცი რა—ისე ხომ ნაკლებად გილაპლაპებს ეგ მელოტი!..

ალექსანდრე. ეეჰ... შენ რომ კაცი აგყვეს—ხათაბალამდის მიიყვან... აბა, რა შენი საქმეა, ერთი მითხარი, შენ ხარ ჩემი ბატონი, წიგნებზედ ლაპარაკი?.. დედაკაცის ჭკვა ამას ვერ მისწვდება...

რუსუდან. შენი ხომ, მე ვიცი, ზედ გადააფრინდება... არა, შე ოჯახქორო... სამოცდა ათი წელიწადი ისე დაღამე, რომ შენ სიცოცხლეში ერთი წიგნი არ წაგიკითხავს და, როცა საფლავისკენ იყურები, ახლა გინდა განათლდე?.. არ გაგიგია? „არა შეჯღა მწყერი ხესა—არა იყო გვარი მისია“.

ალექსანდრე. (წეწნით.) ადამიანო, რატო ისე ოღრო-ჩოღროდ იცი ხოლმე, სიტყვების რახა-რუხი... აბა, შენ რომ ევას ჩამომავალი არ იყო, მაგას იტყოდო? განა კაცს სიკვდილამდის სწავლა მოსჭარბდება? არა, ერთი მითხარი, რა არის, მე შენ გითხრა—შენ ხარ ჩემი ბატონი, მე და შენი სიცოცხლე... ორი პატიოსანი ადამიანი ისე ლაპარაკს არ დაიწყებს, რომ მაშინვე თვლენა არ მოვაყოლოთ ხოლმე... კაცი—ღენერალი კაცი ვარ... დამსახურებული... ჯვარ-ორდენებით გულმკერდი სავსე მაქვს და ჩემი ქვეყნისათვისკი ერთი კენჭიც არ გადამიგორებია... არ გახსოვს, იმ დღეს ვაზეთში რა ეწერა? „ჩვენი უზრუნველი პენსიონერები ჩვენი ცხოვრების ხორცმეტნი არიანო“... და, მართლაც, განა ასე არ არის?! არა, განა ისე უნდა მოგვედღე, რომ ერთმა რიგიანმა ადამიანმა ჩემს საფლავზედ რეჩი არა სთქვას?!..

რუსუდან. მაგ წიგნებს-კე რა რაღა უწი-კითხავ, ის არის, ხელად საქმეზედ დასაშენო!..

ალექსანდრე. არა, მითომ რატომაო? ღვთის წყალობა მე მაქვს, მე შენ გითხრა—შენ ხარ ჩემი ბატონი, კარგი ისტორია მე გამოვაცხო... აი, ჰნახავ... ჯერ წავიკითხო ეს წიგნები!..

რუსუდან. (გაკვირვებით და თანაც დაცინვით.) რაო? ისტორიაო? (იცინის) აი, გამიხმეს ეს მოტვლებილი თავი, რაც აქედამ ისტორია არ გამოვიდეს...

ალექსანდრე. (გაჯავრებით) ნუ იცი, ადამიანო, მაგრე ავად ჩემი ხსენება!.. მე შენ დაგიმტკიცებ, რომ მე ისტორიას დავწერ და იცი, რა ისტორიას? „ქართველ ღენერალთა გმირობის ისტორიას“... რატომაო, შეილოხან, მე შენ გითხრა—შენ ხარ ჩემი ბატონი, რა ძნელია ჭკვიანი კაცისათვის ისტორიის დაწერა?

რუსუდან. მერე, შენა ხარ ჭკვიანი? რა უცნაური ამბის მოგონება იცი ხოლმე, კნიაზო ალექსანდრე!.. რა არის, ღმერთმანი! რომ გაიგოს ვინმე, მართალი ეგონება!.. ჭკვიანი!.. შენ არა ხარ—„პასობის“ ქალაღდი ვერ დაგიჯღაბნია!.. (დაცინვით) რაღა თქმა უნდა, შენც გამოქიმული იქნები იმ ისტორიაში?!..

ალექსანდრე. მითომ რატომაო? მე ვილაზედ რა ნაკლები ვარ? მაშ არა და შენ აიღე აი—ყარსის ციხე!..

რუსუდან. (დაცინვით) აბა, შენ არა ბრძანდებოდი, მუხთარ ფაშას რომ თვალი გამოსთხარე!..

ალექსანდრე. (პატივსაცემად უჩვენებს) ამისა აღარა გრცხვენინ?

რუსუდან. ახლა ნუ მათქმევინებ—ვისის მეოხებითაც მიიღე ეგ ჩინი...

ალექსანდრე. არა, სთქვი, სთქვი, თუ დედაკაცი ხარ და ლეჩაქი გხურავს...

რუსუდან. აი, ალექსანდრე, შენი ბრალი იყოს,—მენულარ დამემღურები!..

ალექსანდრე. არა, სთქვი და...



რუსუდან. თამაზი არა ყოფილიყო, ახლა მაიორიც ძლივს იქნებოდი... შენ თითონ არ ამბობდი ხოლმე, რომ ყარსის აღების დროს „აბოზში“ ვიყავ და ფულიც იქიდგან გამოვიტანეო...

ალექსანდრე. უჰ, უჰ! ამისთანა ცილის წამებაც შეიძლება!.. ამას იქით, თუ მე შენ აღამიანი დაგიძახო, აიღე და ეგ შენი ლეჩაქი მე დამხურე თავზედ!..

რუსუდან. (სიცილით) ძალიანაც არ დაიჭერს ეგ შენი ხუჭუჭი კავები!

ალექსანდრე. (მოთმინება თან-და-თან ეკარგება) არა! შენ დედაკაცი-კი არა, კუდიანი ეშმაკი ხარ... კუდიანი ეშმაკი! აი, ჯოჯონეთის სურათზედ რომ არის ხოლმე დახატული!.. რა არის, მე შენ გითხრა— შენ ხარ ჩემი ბატონი! კაცი-კი მოთმინებიდან გამოგყავს და! შენ რომ შენი სიცოცხლე სულელად დაგიდამებია და სულელადვე მიჰბარდები დედამიწას, -სხვაც გინდა აგრე იყოს!.. ეჰ, ამისთანა სიცოცხლესაც რა ვუთხრა! კაცს არ შეუძლიან ქვეყნისათვის სიკეთე მოისურვოს, რომ მაშინვე მასხარად არ აიგდო! არა, მაშინ რაღას იტყვი, რომ ავიღო და, შენ გამოსაჯავრებლად, მართლაც დავწერო ის დაწყველილი „ქართველ ღენერალთა გმირობის ისტორია“ თუ რაღაცაა!.. მაშინ? პირში ჩაღა გამოვლებული არ დარჩები მაგ დროულა დედაკაცი?!..

რუსუდან. მაშინ არც ის გამიკვირდება, რომ მითხრან— „მტკვარი აღმა დაბრუნდაო“.

ალექსანდრე. (მოთმინება დაკარგული და აღეკვებულები) ფუჰ, შენ ჯიუტობას და იმ კაცსაც, ვინც შენ ხმა გაგცეს!.. (მარდად გასწევს კარებისაკენ).

რუსუდან. (სიცილს გაყოფებს) კნიაზო ალექსანდრე, კნიაზო ალექსანდრე! რას მიეშურებით? ისტორია აქ დაგრაჩათ...

ალექსანდრე. (სწრაფად გამობრუნდება, მიუახლოვდება მამინარე რუსუდანს, ხელეხს ენკრეფულად იქნევს, უნდა რაღაც უთხრას,

მაგრამ შეხედავს, მხრებს აიშოქსნის მხრებს ეუბნებოდას „ეჰ, რა გეკლანაჩაკა“, „ფუჰ“-იო გადააფურთხებს და სწრაფად გავა. რუსუდანი იგინის).

III

ნინო. (შემოდის) აი, დედა, მეც მზათა ვარ!— როგორა მშვენი ეს კაბა?

რუსუდან. უჰ— შენ-კი გენაცვალოს ჩემი თავი— ჩემო სიამაყევ!.. (ჭკაჭნის) შენ-კი არ გამშვენებს ეს კაბა, შენ ამშვენებ შეილო!..

ნინო. ჰო, კარგი... ნუ იცი მაგის-თანები...

რუსუდან. მოდი ერთი, გენაცვალე, ავათვალ-ჩავათვალეო... (ავადაიქებს) მოიცა, მოიცა! ლენტის— ქვეშ ხრიკა გიჩანს...

ნინო. ის გასაწყვეტი მკერვალი!.. რამდენი ვეხვეწე, მაღლა დაეკერებინა, მაგრამ ვერ შევასმინე!.. (სიჩუმე) როგორა გგონია, დედა, დღეს სტუმრები ბლომად იქნებიან?

რუსუდან. როგორც ყოველთვის... ეს არის— თავადი ელიზბარი ავად გამხდარა... გუშინ ფეფელამ მითხრა... ის ხომ ქვეყნის მოამბეა...

ნინო. იჰ, ნეტავი შენ! რა ძალიან გეპიტნავება ეგ თავადი ელიზბარი?..

რუსუდან. რათა შეილო? ვერა ჰხედავ, — ყოვლისფრით წარჩინებულია... ოცდახუთმეტის წლისაა და პოლკოვნიკის ჩინი აქვს!..

ნინო. სამხედრო ხალხს ღილა გაუხუნდა, დედი...

რუსუდან. სულაც არა შენმა მზემ... აგერ, მაგალითად მამაშენი აიღე... იმოტელა „პენციას“ იღებს... აბა, აგრე რომ არ იყოს, მაშინ ხომ მართო მამულის შემოსავლით ასე ვეღარ ვიცხოვრებდით... მერე ქაა... არაფერს არ აკეთებს... მზამზარეულზედ იღებს.

ნინო. საქმეც ეგ არის და, რომ არაფერს აკეთებს და დიდ პენციას-კი იღებს...

რუსუდან. (თითის ქნევით და ღიმილით) ჰაი, შე კუდიანო, შენა!.. მე ვიცი—ვისი ჰანგებიც არის ეგა... სულ იმ ეშმაკ ლევანის საქმეა!.. რა თავდაუქერელი რამ არის!.. რა იყო—იმ დღეს, რომ ის ყოველად პატივცემული ღენერალი კაცი პირში ჩალაგამოვლებულივით დასტოვა...

ნინო. პირში ჩალის გამოვლება ჰკვამ იცის, დედი!..

რუსუდან. აბა, ახლა თქვენთან ვილა მოვა? ჰკვაც თქვენა გაქვთ და განათლებაც!.. თითქოს ჩვენ დროს-კი არ იყო ეგ დალოცვილი ჰკვა!..

ნინო. იყო, დედა, მაგრამ სხვა ჩარჩოში!..

რუსუდან. როგორ თუ ჩარჩოში?

ნინო. ისე რომ... აი, მაგალითად, ავიღოთ რომელიმე კარგი სურათი—უჩინო და ძვირფას ჩარჩოში ჩასმული... რომელი უფრო გამომეტყველი იქნება?

რუსუდან. რასაკვირველია, ის, რომელიც ჩარჩოში იქნება...

ნინო. რათა?

რუსუდან. მათა, რომ ჩარჩო იერს მისცემს... დაამზვენებს...

ნინო. ჰოო... აი, ჰკვაც ასეა... განათლება ჰკვას ისე ამზვენებს, როგორადაც კარგი ჩარჩო სურათს (სიცილით) ერთის სიტყვით, დედა, განათლება ჰკვის ჩარჩოა...

რუსუდან. (აღუწიანის ღიმილით.) ჰაი, შე თილისმავ—შენა! საიდგან მოუხვიე... მაგრამ ეჰ, რა დროს ჰკვაზე ლაბარაკია... საცაა სტუმრები მოვლენ და მე-კი... (მისიმის ზანის ხმა) აგერ!.. აბა, შენ დაუხვდი და მე-კი იქაურობას დაფათვალღერებ... (მიმავადი გამობრუნება) გენაცვალოს ჩემი თავი, შეილო, თუ ელიზბარი იყოს, ზრდილობიანად მიიღე... საქირო კაცია... რად მოვიმდუროთ...

ნინო. ჰო, კარგი, კარგი!.. უზრდევლობისა რა მჭირს?! (რუსუდანი გავს).

IV

მარო. (შემოდის) ნუცა, აი მეც აქა ვარ...

ნინო. ოჰ, რა კარგი რამა ხალა ჩემო მარო!.. წარმოიდგინე, შენ ყველანაირად კარგე მოხველ.

მარო. ეს ჩემთვის სასიამოვნოა, თუ შენს თვალში მეტი საბუთი იქნება ჩვენის მეგობრობისა. (ცბიერის ღიმილით) მაგრამ მე ვიცი ერთი ადამიანი, რომლის ოცნებით ამეტყველებული თვალების ნახვა უფრო გიამებოდა, ვიდრე ჩემი!..

ნინო. (ცბიერად ან იუფს დატყვევებით) ნუ ხარ ეშმაკი და დამცინავი... რად გავიწყდება, ამასთანავე, რომ მესაიდუმლე და თვით საგანი საიდუმლოებისა თითქმის თანასწორ ძვირფასნი არიან...

მარო. მხოლოდ „თითქმის“... მაგრამ ცრუ-ლირიზმს თავი დავანებოთ და შენ ეს მითხარ: იყო ლევანი დღეს მოსალოცად თუ არა... მე დღეს შენგან აღრე წაველ...

ნინო. წარმოიდგინე, არ მოსულა... ეს ამბავი მაკვირვებს... მთელი დღე მოუსვენრად ვარ... აბა, შენ თითონ იფიქრე,—ოთხი დღეა... გესმის,—სრული ოთხი დღეა, არ მინახავს—მეთქი!.. გულზედ რაღაც სიმძიმე მაწევს, თითქოს ჩემ გარშემო დაუსრულებელი ღამე იყოს და დღის ნათელი არ მეკარებოდეს... ახლაც რომ არ მოვიდეს...

მარო. (სიტყვას აწვეუტინებს). ალბად, ქალაქში არ იქნება... მე აქ არსად არ შემხვედრია... გუშინ თეატრშიაც არ იყო...

ნინო. მეც ასე მგონია, თორემ ჩემ სახელწოდების დღესასწაულს როგორ არ დაესწრებოდა...

მარო. შენივე ბრალია... საბელს უთრევ და თანაც კატასავით ეთამაშები... ხუმრობაა?... ისიც ადამიანია... თავმოყვარეობა აქვს...

ნინო. ახლა რაო, რომ თავმოყვარეობა აქვს?! იმიტომ კისერზედ უნდა ჩამოვეკილა?! არა, ჩემო კარგო! ახლავე უნდა მოვქანცო იგი... მისს მამაკაცურ ძალ-

ლონეს ბრწყალები ახლავე უნდა დავაჭრა, თორემ მერე გაბატონებას მოინდომებს!.. ვერ წარმოიდგენ, რა ექვიანი და უნდო არის ლევანი!.. აბა, რა დავიმალო?!.. ლევანი მიყვარს... მიყვარს ისე, როგორადაც გაუფუფრჩქნავ ვარდს დილის მზის სხივი... მაგრამ ამასთანავე ისიც მასიამოვნებს, რომ ლევანი ჩემთვის იტანჯება... ექვიანობს... გაფაციცებით აღდევნებს თვალყურს ჩემს მოძრაობას, თვალების მეტყველებას და ამ მეტყველებაში კითხულობს ხოლმე ჩემს სურვილს... წადილს!.. აი, ეს მე იმ ზომამდე მავსებს სიტკობებით, რომ მზადა ვარ—კიდევ ერთ ხანს ვაწვადლო, ვეთამაშო, —შენი არ იყოს, —როგორც კატა თავგსა და მერე-კი... ოჰ, რომ იცოდე, რა უზომო ბედნიერებას მივანიჭებ!.. სიყვარულის ცეცხლში დავწვამ და მეც დავიწვები!!!

მარო. ღმერთო ჩემო! შენ—ქალი-კი არა, —ცეცხლის მფრქვეველი მთა ხარ!..

ნანო. იცი—რა მიზეზია, რომ ლევანი აქამდის არ მოვიდა?

მარო. არა... რა უნდა იყოს?

ნანო. გითხრა?

მარო. შენ ხომ უფრო ძალიან გინდა აქმა და აბა, რაღას აჭიანურებ?!

ნანო. (თათქას დატყუებული) ლევანი გამომიტყდა, რომ ვუყვარვარ და ცოლობა მთხოვა.

მარო. არა, მართლა? როდის?

ნანო. ამ ოთხის დღის წინად..

მარო. მერე? რა პასუხი მიეცი?..

ნანო. აბა, გამოიცან...

მარო. რასაკვირველია, თანხმობას ეტყობი...

ნანო. მაშინ ხომ შენ გეგვანებოდი... აბა, შენგან არ მიკვირს?!.. რა პროზაიკული ბუნების ადამიანი ხარ... მე და ჩემმა ღმერთმა, —ზედ გამოჭრილი ხართ შენ და ის ჩვენი ეკონომიური მატერიალისტი... აი, ის... რა ჰქვია? ჰო, დო-

მენტი, კაპიტონის-დე კარკალაძის... ლად-კი არ გეტრფიალება...

მარო. ის, ჩემო კარგო, მე-კი არ მეტრფიალება, — „კაპიტალს“ ეტრფიალება... არ ვიცი-კი—მარქსისას თუ მამიჩემისას... ჰო, და რა პასუხი მიეცი? ნუთუ უარი უთხარ?!

ნანო. რასაკვირველია... ერთი მითხარი, რა სიტურფე და მშვენიერება უნდა ჰქონდეს ჩვენს შეუღლებას, თუ ლევანი, მხოლოდ მწვავე ტანჯვის შემდეგ, არ მიაღწევს თავისს საწადელსა?!.. ნუთუ შენა გგონია, იაფად დავუსვამ მას ჩემს სიყვარულს? არა, —მე შენა გკითხავ, —განა, როდესაც იგი—სასო მიხდილი, იმედ დაკარგული—უეცრად, მოულოდნელად კვლავ მპოვებს მე, უფრო ძვირფასი, უფრო ნეტარებით აღსავსე არ იქნება ლევანი-სათვის იმის განცდა, რომ მე მას ვეკუთვნი საუკუნოდ და ის-კი მე?!..

მარო. არ ვიცი... არ ვიცი... ძალიან-კი მაკვირვებს ეგ შენი საქციელი და... მერე, ნუთუ არ გებრალება?

ნანო. საქმეც ეგ არის და... იყო წამი, როდესაც მაგ სიბრაღელობა, ცოტას გარჩა, არ გამცა... ყური დამიგდე... ამას წინად მე, ლევანის გამოსაჯავრებლად, ჩვენს დოკლაპია ფილოსოფოსს საბა ბახ-ბახაშვილს დავუწყე არშიყობა... ამ დროს ვგრძობ, რომ შიგ კისერში ვიღამაც ორი საშინლად გავარვარებული სხივი მომაფინა... მე მინდა მივიხედო უკან, მაგრამ თანაც იღუმალი ხმა მჩიურჩიულება: „არ მიიხედო, დეე, ცოტა ხანი კიდევ დაგათბოს მაგ სხივებმაო“... რომ იცოდე, მარო რა სასიამოვნოდ ესაღბუნებოდა ის სხივები ჩემს არსებას... მეც, როგორც კატა მზის მოალერსე სხივს, ისე გავუყურდი ამ სითბოს... და თანაც შევეკეთე ჩვენს მეცნიერების მოციქულს!.. ისიც ცმაკურობს... ტოკავს და გაანშირებს შენსავით ბრტყელ-ბრტყელა ლაპარაკსა... სხივები-კი ამ დროს ძალაზედ

ელვარებს და ვაი შენს მტერს, თუ არ მივიხედვ... მთლად გადამწვავს... მეც ჩემებურად თვალეზ-აპრუწვით მივატრიალე თავი და დივინახე ჩვენი ბატონი ლევანი, ინდოურივით აფხორილი... თურმე ნუ იტყვი, ქალო, ის სხივები ლევანის თვალებიდან არა ყოფილა გადმონაშუქი!.

მარო. მერე, მერე?

ნანო. მერე და... ეს ჩემი საქციელი ჩვენმა ლევანმა ძალიან იტყიცა და იმ საღამოთივე სიყვარული გამიმხელა... ალბად, იმიტომ, რომ თავისი მდგომარეობა გამოერკვია... მე გული შემითანჯკალდა და ის იყო... კინალამ სურვილმა გაფთხილების ადვირი წამართვა... მაგრამ თავი შევიმაგრე და ასე ვუბახუხე: „ბატონო ლევან! მე თქვენ მომწონხართ და, გათხოვება რომ მქონოდა აზრად,—თქვენზედ უკეთესს ქმარს ვერ ავირჩევდი, მაგრამ მე გათხოვებას არ ვაპირებ და უმალლეს კურსებზედ მივიდივარ“—მეთქი..

მარო, ოჰ, რა ცუდი რამა ხარ!. არა გრცხვენიან? მაგრე თვალეზის აბლესაც შეიძლება?!

ნანო. ოჰ, შე საცოდავო, შენა! სულ რომ იმათ არ აგვიხვიონ თვალეზი—ერთხელ ჩვენ ავუხვიოთ... რა უშავს?! ჰო, იმას გეუბნებოდი: ახლა, რად ვუთხარი, კურსებზედ მივალ-მეთქი?... ლევანმა იცის, რომ ჩვენს უაღრესი მეცნიერი...

მარო. (სიტყვას აწვეტიანებს) მართლა!. იცი გულშინ თეატრში რა წამოაბრახუნა მაგ შენმა მეცნიერების გულამ?... კინალამ სიცილით დავიხოცენით. (აჯავრებს) „მაგ ავტორს ჯერ ცხოვრებაში ზნეობრივი პალო არ დაურჭომსო!“

ნანო. როგორ თუ ზნეობრივი პალო?

მარო. მითომ—ცხოვრების საგანი გაკლევული არა აქვსო... საკვირვლად ლაპარაკობენ ეს ჩვენი მეცნიერნი!..

ნანო. მოიცა, სიტყვას ნუ მაწყვეტინებ... ბახახაშვილი გადამკიდებია—უმალლესს კურსებზედ წაბძანდითო... ადამიანი

გახდებითო... თითქოს ეხლომეცნიერი-ყო... ლევანმა ეს ამბავი იცის... მისივე ჰკლავს... როცა ვუთხარი,—კურსებზედ მივალ, არა ვსთხოვდები-მეთქი,—ვერ წარმოიდგენ, რა დაემართა... მკვდრის ფერი გადაედო, თვალეზში სევდა მორევსავით მოერია და თითქმის ბარბაცით გავიდა...

მარო. (მდელოვარებით) მძაგხარ, შენმა გაზდამ, მაგ საქციელისათვის!.. მერე რა მგრძნობიარე ადამიანია!..

ნინო. მეც შემეცოდა... ის იყო, კინალამ უკან არ გამოვუდექი და არ დაყუბახე,—ლევან გეხუმრები-მეთქი,—მაგრამ იმ ალტაცებამ, რომ ლევანი ჩემის სიყვარულის გამო წამებას ეძლევა, გამარინდა... გამაკერბა... ადგილიდგან არ დავიძერ... ალბად გაჯავრებულია ჩემზედ და იმიტომ აღარ მოდის...

მარო. შენ მაგ ჟინიანობით, ნინო, ლევანს ნუ ეხუმრები... ემანდ არაფერი არ აიტეხოს...

ნინო. (იციანის) რა სასაცილო რამა ხარ!.. ეხლანდელს დროში, ჩემო კარგო, სიყვარული ბოლოს არვის არ უღებს!.. მეორეც ერთი —მე თითონ ძალიან გაჯავრებული ვარ ლევანზედ... არა, რა უფლება აქვს, რომ ასე მამცირებს და იქვენულობს... მერე ვის შესახებ? საბა ბახახაშვილის გამო... ნუ თუ მოსიყვარულე გულმა ვერ უნდა გამოსცნოს... (შაისმის სახის ხმა) ჩუ... ზარია... უთუოდ ის იქნება... აბა, მარო... ის არის, ის... მე ვითომ ვერა ვხედავ... შენც მანდ მიიმაღლე სადმე... აბა, ერთი ვნახოთ,—ეს ჩვენი ბატონი დიდხანს იავუნეგებს?!

მარო. შენმა გაზდამ, ეხლავე ვეტყვი, რომ სუყველაფერი ცბიერებით მოგდის..

ნანო. შენი ჭირიმე, შენ გენეცვალე... მერე... მერე... ცოტა ხანს შემდეგ... მე ამ ყვავილებს ამოვეფარები.. ერთი დავინახო, რა დამარებულის სახით შემოვა.

მარო. იცოდე, ყველაფერი დღეს უნ-



და გათავდეს, თორემ ახლავე გაგამხელ...

ნინო. კარგი... კარგი... ერთი კიდევ დაინახო იმისი ჩამოგრძელებული ცხვირი, შეკრული კოხები... (ეგვიფლებს ამოფარება; მარცხ სავარძელში ჩაჯდება ისე — რომ არა სჩანს).

V

მამო. (წერაღივ ხელში შემოდის) კნენა, კნენა!.. რა ვქნა? რა ქნილან?

ნინო. (ეგვიფლებს ამოფარებული) რაო, რა იყო? ვინ არის?

მამო. წერილი გახლავთ თქვენს სახელზედ.

ნინო. (ეგვიფლებს ჩამოეცლება) გულმა კიდევ მომატყუა... მოიტა წერილი... (მამო მისიკემს წერილს და გავა).

მარო. იქნებ, იმისგან არის...

ნინო. (წერილს დახედავს) მართლა, იმის ხელსა ჰგავს .. (აღეფლებს, ვერა ჰბედავს წერილს გასხნას) ხელები მიკანკალებს... მარო, შენ წაიკითხე...

მარო. თუ მანდომ საიდუმლოებას, ბატონი ხარ... მოიტა. (წერილს გამოართმევს და სხნას დაუწევს).

ნინო. (შოუთმენჯობით) რა დავემართა?! გახსენი რაღა!... ოჰ, რა უნდელი რამა ხარ!..

მარო. ჰმ? მოვიარეს!.. თუ მაგრე გითამაშებს გული, რაღად ეშმაკობ? (ნინოს მოთმინება ეკარგება) აბა, მოვისმინოთ (დააკანს აჯავრებს) ებისტოლე ლევანისა ნინოსა მიმართ (კითხულობს) ძვირფასო ნინო! (დაზარალებს) ოჰო! გულიანად იწყობს ჩვენი ტარიელი... (ნინო გაფაციცებით ეყრს უგდება და შოუთმენჯობა ეტუება) ვბედავ ასე ვიწოდოთ, რადგანაც ეს ჩემთვის უკანასკნელი იქნება...

ნინო. (გაღიშებს) ჯერ ეგ არავინ იცის.

მარო. (კითხულობს) გონება არეული მაქვს ..

ნინო. მე კი არ ვიცი!..

მარო. ნუ მიშლი... (კითხულობს) გონება არეული მაქვს იმ პირქუშ დღიდან

და მომიტევეთ, თუ ეს წერილი დაგვითმობს — ლაგებულები ვერ იქნება, როგორც მსურს და როგორც თქვენს გემოვნებას შეეფერება“ (დაზარალებს) ეს მხოლოდ შესავალია სამიჯნურო უსტარისა... ძალიან კი გბერავს ქალბატონო!.. (ნინო ანიშებს წაიკითხე) „თქვენ ხომ მოყვარული ხართ ყველაფრისა, რამაც სილამაზე და მშვენიერება გამოიხატება, განსაკუთრებით კახმულის სიტყვისა... სიტყვის სიტურფეს ვერ დავიქანდი, ამ გარემოებაში მყოფი... და იმას-კი ვიტყვი, რომ ეს წერილი უკანასკნელი აღმოვეცნესაა ჩემის გულისა და მას თან ამოჰყვება ყველა ის, რაც ჩემს არსებას ასულდგმულებდა“ (დაზარალებს) არა გრცხვენია?! არშიყოების ჟინიანობამ ისე როგორ უნდა გაიტაცოს, ადამიანი, რომ ასეთი მწუხარება მიაყენოს საყვარელ არსებას!..

ნინო. შენ -- შენის დედამთილურის საყვედურით ილაჯი წიილე!.. (აღტაცებით) წაიკითხე... წაიკითხე... ვერა ჰხედავ — ცრემლები მომდის, ისე ესალბუნება ეგ სიტყვები ჩემს გულს... ახლა ვგრძნობ, რა რიგად ვყვარებივარ ლევანს... ოჰ, ერთი მალე მოვიდეს, რომ... წაიკითხე... წაიკითხე!..

მარო. (კითხვას განაგრძობს) „რასაკვირველია, მიხვდებოდით, რომ თქვენმა უარმა თავზარი დამცა... გაოგნებული გამოველ თქვენის სახლიდან და გონებაზედ მხოლოდ მაშინ მოველ, როდესაც ჩვენის სოფლისაკენ მიმავალი მატარებელი აღვილიდან დაიძრა... ნეტავ ხანგრძლივი ყოფილიყო ეს გარინდება, არ გამოფხიზლებულიყავ იმ თვალ-ლია ძილიდან, რადგანაც, გამოფხიზლებისათანავე, ვიგრძენ, რომ ჩემი არსება მთლად გამომიფულუროვდა“ (გაჩქარება და ნინოს ეგვიფლებით შესედავს.)

ნინო. განაგრძე... განაგრძე!..

მარო. (განაგრძობს) „რაღა ვარ მე ამ სოფლად — „სულით მაშვრალი და უნდო

გონებით?“ რისთვის უნდა ვიყო, როდესაც ფეხქვეშ ნიადაგი გამომეცალა და თითქოს ჰაერში ვტორტმანობ, ვით ჩამოღრჩობილის გვამი!..“ (მარსს ტრეპლეები ადგება თვალებზე).

ნინო. (შიში ეპარება) ღმერთო ჩემო! ეს რა საშინელი სიტყვებია!..

მარო. (განაგრძობს კითხვას) „მას შემდეგ რაც თქვენ ჩემს ცოლობაზედ უარი სთქვით, რილას მაქნისი ვარ? განა ფრთებ მოწყვეტილს ფრინველს ფრინველობა-ღა ეთქმის? და მე-კი დამეხშო სწორედ ის, რაც ფრთას მასხავდა და ჩემს არსებას სულსა ჰბერავდა!.. თქვენის სიყვარულით გამთბარს — მე თვით მათათა-რყევას არად ვსახავდი.. ახლა-კი კენჭის გადაგორებაც დიდ ტვირთად მიმაჩნია... მაშ რილასთვის, ან ვილასთვის ვატარო ეს ბეჩავი სიცოცხლე? ტანჯვისა არ მეშინის, რადგანაც მას თითქოს ვერც-კი ვგრძნობ, როგორადაც შენების გრძნობას აღკვეთილი ადამიანი ლახვარის ჩხვლეტას... მხოლოდ მიზანი არსით სჩანს... მიზანი, რომელმაც უნდა გადამაბას სიცოცხლესთან და გადაწყვიტე — მოვსპო კავშირი მასთან...“

ნინო. (რამქვსაც თან და თან მდევსარება და განცვიფრება ეტყობა) მარო! გენაცვალე, ეს რას ჰნიშნავს! ხუმრობს, თუ მართალია?..

მარო. განა შენ ადამიანი ხარ?! კვის გული გქონია, კვისა! ღმერთო ჩემო! რა ტანჯვაა, რა გვემა!.. და რის გულისათვის? მხოლოდ უაზრო, ბავშვურ ეჩინაობის გამო!..

ნინო მერე... მერე... შემდეგ რა არის?

მარო. (განაგრძობს კითხვას სვეტებს-სვეტებით) ერთხელ თქვენ მკითხეთ — რა არის ჩემთვის ყველაზე ძვირფასი. მაშინ მორიდებით პასუხი ვერ მოგეცით... ახლა გეტყვით: ყველაზე ძვირფასი ჩემთვის თქვენ იყავით... თქვენ გეჭირათ ჩემის სიკვდილ-სიცოცხლის ძაფი... და სიცოცხლისა მაშინ მიიღია, როცა თქვენ დაგ-

კარგეთ... მშვიდობით!.. უკანასკნელად გილოცავთ დღესასწაულს თქვენის სახელწოდებისას... თქვენს გარდა, სანეტარო ამ სოფლად ჩემთვის საკუთარი სიცოცხლე იყო, რასაკვირველია, თქვენთან ერთად და... ამ ღირსშესანიშნავ დღეს ამ ნეტარებასაც თქვენ გილოცავთ. იგი ჩემთვის აწუქმია. როცა ამ წერილს მიიღებთ — თქვენს დღესასწაულს მხოლოდ ჩემი სული-ღა შემოუერთდება, რადგანაც სიკვდილისაგან გათოშილს სხეულს გულზედ ცივი სამარე-ღა მიისვენებს!.. (წერილის ბოლოს ძლივ-ძლივობით ჩაიკითხავს და გაშტერებული რჩება. ნინოც კარინდებულისა. ერთხანს სიჩუმეა. ბოლოს ნინო გამოეკვება კარინდებს).

ნინო. (ავანკვლებული და აღკვლებული) მარო... მარო! არ გესმის! ის რას ნიშნავს? მითხარი ჩქარა! ნუ თუ ყველა ეს მართალია, რასაც ლევანი იწერება!.. ნუ თუ იგი აღარა მყავს? მითხარი... რას გაჩუმებულხარ? ქალო, არ გესმის! მითხარი, თორემ გადავირიე... გავგიჟდი! (მარსს ხმა ვერ ამოუდია, გაშეშებულივით არის) მაშ მართალია?! შენ გაჩუმებული ხარ... მითხარ რამე სანუგეშო... გინდ მომატყუე, ოღონდ სასოებას ნუ დამიკარგავ! (მარსს ხმას არ იღებს) მაშ მართალია! მე მოვკალ ლევანი!.. მე მოვკალ ეს ჩემი გული! ჩქარა შლიაპა და წამოსასხამი!..

მარო. (განებაზედ მძსუღი) ნინო, რა გინდა ჰქმნა?

ნინო. როგორ თუ რა? დავიხსნა ლევანი!.. დავუბრუნო იგი სიცოცხლეს და ჩემს თავს.

მარო. შენ იმას ვეღარას უშველი.

ნინო. (უზომო შიშს აიტანს) საშინელეზას ამბობ!.. ნუ თუ ლევანი... არა!.. ეგ შეუძლებელია!.. ღმერთი ისე როგორ გამირისხდება?! განა რა დავაშავე იმისთანა? (ფიქრის შეძვე) მარო! დამიმტკიცე მეგობრობა... გამომყე ლევანთან.

მარო. რას ამბობ ქალო!.. გონება



მოიკრიბე... ნუ მიეცემი მარტო გულის-
თქმას... მთელი შენი სულიერი ძალ-ლო-
ნე ახლა გიჭირს...

ნინო. არა... არა... ეგ მხოლოდ სიტ-
ყებია... ჩემს გულს-კი საბუთი სწყურია...
საბუთი, რომ ლევანი ცოცხალია...

მარო. (ყოფმანათ) იქნებ, წერილის
დაწერის შემდეგ... გადაიფიქრა.

ნინო. არა... შენ ჩემს დასამზვიდებ-
ლად ამბობ მაგას... თორემ სახეზედ გატ-
ყობ— შენ თითონ არ გჯერა მაგ სიტ-
ყებისა... არა, ლევანი მკვდარია... ოჰ...
მკვდარია... მე მოვკალ იგი!.. (სიჩუქე)
ღმერთო! გონება მერყევა!.. გულის ალა-
გას-კი გაფარვარებულს ნაკვერჩხალსა
ვერძნობ... (ქვითინებს ერთხანს და ბოლოს
გადაჭრით) მივდივარ... აქ ჩემი გაჩერება
არ შეიძლება!..

მარო. ნინო! გვედრები დამზვიდდე!
აბა, გენაცვალე, რას ამბობ? როგორ
შეიძლება შენი იქ წასვლა... უცხო ქვე-
ყანაში. მერე ამ დროს... ხალხი რას იტ-
ყვის?..

ნინო. ოჰ, ეგ ხალხი... ხალხი!.. რას
მიქვიან ხალხი, როდესაც აი, აქ (გულზედ
უჩვენებს) აღარაფერია, გარდა ცეცხლისა,
რომელიც საშინლად მწვავს და მდაგავს!
მოიყვა ის ხალხი... დეე მასწავლოს,— სად
და როგორ ვპოვო საშუალება ამ ცეც-
ხლის გაქრობისა!.. მასწავლოს ისე, რო-
გორადაც მანვე მასწავლა ცბიერება, მუდ-
მივ პირბადის ტარება!

მარო. შეცდომა ვის არ მოუვა ამსოფ-
ლად?!

ნინო. შენ? შენ მეუბნები, მაგას მარო!
არა გრცხვენიან?! იმის მაგიერ, რომ გამ-
კიცხო... შემაჩვენო... ჩამაქვაო... შენ ჩემ
გამართლებას სცდილობ?!.

მარო. ნიო, ნინო! ღვთის გულისა-
თვის!..

ნინო. არა, მე ნინო აღარა ვარ!.. მე
მკვლელი ვარ, მკვლელი!.. ჩემი ცბიერი
სული ლევანის სისხლშია მოსვრილი!..

აი, თითქოს ყურში ჩამომესმის ლევანის
ვის სიტყვები: „ნინო, ნინო, შენ მომკალ-
მე და მარად ჩემი ცოდო ზიდევო“.. ჩემი
ხელები სისხლშია მოსვრილი!.. (წასვლას
აპირებს).

მარო. (იჭეკს) ჩემო საბრალო ნინო!
გამოფხიზლდი!.. მოიშორე ეგ საშინელი
კაემანი, რომელიც ტვირთად დაგწოლია.
აი, მე აქა ვარ, შენი მეგობარი... აბა,
დამზვიდდი, გენაცვალე... წარმოიდგინე
შენი მდგომარეობა... ერთ დანაშაულს
მეორეს ნუ მიუმატებ... მოიგონე შენი
მოხუცი დედ-მამა.. საზოგადოება...

ნინო. არა, — არ შემიძლიან!.. ჩემი ად-
გილი, — აქ-კი არა, — ლევანის ცხედართან
არის!.. მე მისი ქირისუფალი ვარ... სუ-
ლიერი მეუღლე!.. გესმის, მარო, სულიე-
რი მეუღლე — მეთქი... გამიშვი. (წასვლას
აპირებს, მაგრამ მარო არ უშვებს.)

მარო. ქალო, რას სჩადიხარ? (ზარის
ხმა მოისმის) აგერ, სტუმრები იქნებიან...
გონზედ მოდი. ქვეყნის სალაყოდ ნუ
გაიხდი საქმეს!.


ნინო. (თითქოს განზუად მოსული) სტუმ-
რები!.. არ შემიძლიან... წამიყვა აქედან
საცა გინდოდეს— ოღონდ ახლა ნურვის
სახეს ნუ დამანახვებ...

მარო. ქალო, სად წაგიყვანო? რად
გავიწყდება, რომ დღეს შენი სახელწო-
ლების დღესასწაულია... სტუმრები შენი-
ვე დაპატივებულები არიან... აბა, გენა-
ცვალე, ძალ-ლონე მოიკრიბე... თვალები
მოიწმინდე. (თვალებსა სწმენდავს ხელსა-
ხებით.)

ნინო. ოჰ, ლევან, ლევან! ეს რა დღე-
ში ჩამავდე!.. ლამის გავგიჟდე.

ფეფელა. (მომდამარის სხით შექმადის,
VI

სადექსასწაულად მართული.) მომილოცნია,
ჩემო სულიკო, დღეობა!.. მოდი, ერ-
თი გაკოცო. ხომ არ მემდურბი, რომ
დღეს ეერ მოგილოცე?.. იმდენი საქმე
მქონდა, შენმა გაზდამ, იმდენი, რომ...
ჰმ? როგორა ხარ? აბა, რა გიჭირს-რა?



(მარცხს) ვარდივით ლამაზდება და კაცის გულებს ჰბასრავს. მართლა, ეს არის თავადი ჭავჭავანიძე ვნახე. წარმოიდგინეთ, ამდგარა. გუშინ-კი ისე ავად იყო, ისე ავად, რომ მორჩენის იმედი არვისა ჰქონდა. არა მკითხავთ ახლა — სადა ვნახე? ქუჩაში... პარიკმახერთან მიდიოდა. ხელში რალაც-რალაცები ეჭირა და მითხრა — „მეც მალე მოვალო“ რა ვქნა? რას გაჩუმებულხართ? წინიკა, შენ თვალები გაწითლებული რათა გაქვს?

მარო. ნინოს თავი სტკივა. ნერვები აქვს აშლილი.

ფეფელა. (დაცინვით) ოჰ, ღმერთო ჩემო! რა საცოდავები-რამა ხართ ეხლანდელი ახალგაზრდები! ჩვენს დროში სად „მენენიკობა“ და სად ავადმყოფობა, ან ნერვები... საკვირველი, -რამ ყოფილავს ნერვები!. სულ ახალგაზრდებს ემტერება და ჩვენ კი, ბებრებს, ხელსაც არ გვახლავს... მე-კი ასე მგონია, როცა ახალგაზრდა ნერვებით არის ავად, უებარი წამალი სიყვარულია. სიყვარულით უნდა უწამლონ და მორჩება. არა, ნინო? თანახმა არა ხარ? მე დარწმუნებთლი ვარ, — რა წამსაც თავადი ჭავჭავანიძე აქ ფეხს შემოსდგამს, მაშინვე ნერვები დაგამშვიდდება. ჰმ? ასე არ არის?

მარო. ბატონო ფეფელ, ძალუა რუსუდან გკითხულობდათ.

ფეფელა. (თითას ქნკვით და დიმალით) ჰაი, თქვე ეშმაკებო — თქვენა! მარტო გინდათ დარჩეთ რალა, რომ ლაპარაკით გულის ბუხარი იყაროთ და „პლანები“ დააწყოთ, თუ დღეს კავალრებს ობტში როგორ მოუხვიდეთ... ეგრე, ეგრე, შვილებო! აბა, თქვენ იცით... რაც ქალი მამაკაცს მოატყუებს, იმდენი სამოთხეში უკეთესს ადგილს მოიპოვებს. მეც ჩემს ახალგაზრდობაში ბევრი ყმაწვილი კაცი გამიცურებია ყინულზედ. აბა, ახლა რუსუდანი ვნახო. სად არის, ქალებო, რუსუდანი?

მარო. სასადილო ოთახში ჩხობი რეცხავთ. **ფეფელა.** აბა, მაშ მივდივარ. (მალის, მაგრამ თათქვს რაღაც მთავანდება და სწრაფად გამობრუნდება) ქალებო, ცხელ-ცხელი ახალი ამბავი... ეს არის ახლა გავიგე. წარმოიდგინეთ, თავად წარბშეუხრელიძის სიძე.. აი, ის... რა ჰქვიან ქა? აი, ის... დასწყევლა ღმერთმა „ნემენცი“ (გაპტყეფებით და სიაღუშლჳ კილჳთი) „სოცელისტი“ გამომდგარა... სოცელისტი — თქვენს მზესა ვფიცავ! იქნებ, არა გჯერათ? გეფიცებით ჩემს ერთადერთ სტუდენტ-შვილს. წავიდნენ ახლა ის წარბშეუხრელები და გაიბერონ! (აჯვარებს) — ჩვენს ქალს გრაფის მეტს არვის მივცემთო. — ჰაი გიდი ღროებავ! რის გრაფი, რის ბარონი. სოცელისტი ყოფილა და ისიც თავის ქვეყნიდან ქურდულად გამოპარული. ეს ამბავი თქვენთვისაც თითზედ დასახვევია, რომ თქვენც მაგისტანას არვის წააწყდეთ. ისევ ჩვენი მიწა-წყლის შვილი სჯობია. სხვა არა იყოს-რა — სოცელისტი ხომ მაინც არ იქნება! წავიდე, ერთი ეს ამბავი რუსუდანსაც ვუამბო... რამდენს გაიცინებს!.. (გავა. ხანგრძლივი სიჩუმე).

მარო. ნინო, რას გაჩუმებულხარ? ღმერთო ჩემო, რა სამარისებური სიჩუმეა! სანუგეშო სიტყვაც ვერ მომიძებნა!

ნანო. (ვიდრე ფეფელა დახანაკობს, ფიქშია წასული, სახე მრავალ-ფერად უმეტეულებს და ბოლას გადაჭრათ და ჟინიანობით იწყებს დახანაკს) ნუ ეძებ, მარო, სანუგეშო სიტყვას... იგი მე არ მარგებს მე უკვე გამოვიტირე ყველაფერი, რაც-კი რამ ჩემში. აღამიანური იყო... მე აქ დავრჩები... ვიმზიარულებ... ვითამაშებ... ვიცბიერებ... ვიმტყუენებ... თავს გავიტინგიცებ და მთელ ხალხსაც მასხარად ავიდებ! . არა! არ ვუმტყუენებ ჩემს დასახიჩრებულს ბუნებას... მაშ რით დავამტყიცო, თუ არ ცბიერებით, რომ მე პირმშო შვილი ვარ ჩვენის საზოგადოებისა?! დეე, გულში ლახვარი მესობოდეს — მაინც ვიმზიარულებ.



დე, ლევანის გასისხლიანებული აჩრდი-
ლი წინ მუდობებოდეს,— მე მაინც არ შე-
ვიძინე და სტუმრებს პირმცინარე მივე-
გებები! დეე, იცოდნენ, რომ დღეს ჩემი
დღესასწაულია და მეც ვმზიარულობ...
ვცეკვავ! ვიცინი! გესმის, მარო! დღეს
ჩემი დღესასწაულია და მე ბედნიერი ვარ!
ვცეკვავ... ვიმღერო.. ვმზიარულობ... ვიცინი!
.. (ისტეროიული სიცილით).

მარო. ნინო! რა დაგემაართა? გონზედ
მოდის ქალო! საცაა შემოვლენ, შეგატყო-
ბენ ..

ნინო. (ცოტა დამშვიდებული) შეგატყო-
ბენ? ვერა, ვერ შემატყობენ!.. რად მინ-
და მაშინ ის რიდე, რომელსაც მე და
ჩემისთანები მუდამ სახეზედ ვატარებთ?
რად გავიწყდება, მარო, რომ ჩემს არსე-
ბაში ორი ნინოა... ერთი მათგანი თუ
ჩუმად იტანჯვის... მალვით ცრემლსაჰყლა-
პავს, მეორე მას წინ აფთარება, სახეს მოი-
ლამაზებს, ღიმილით გაიბადრის და გულ-
ლიათ მიიღებს იმათ, რომელთა თვით ერ-
თი შემოხედვაც-კი ჩემთვის შეურაცხება
უნდა იყოს... ვმალოთ, ვმალოთ, ჩემო
მარო, ჩვენი გრძნობა და მით შევასრუ-
ლოთ ცხოვრების მიერ მონიჭებული რო-
ლი!.. ნუ მივეცემით სინიდიის მხილებას...
მე და შენ ახლა ცხოვრების სცენაზედ
ვდგევართ... გარშემო ხალხი გვახვევია...
ჩვენ მსახიობნი ვართ და ვალად გვძევს
ავიტანოთ ბ-ნთ ჭავჭანიძეთა, ბახახაძეთა
და სხვების ვნებით ამეტყველებული თვა-
ლების შემოცეცება... არ შეიყოფა... ჩვენც
გავუღიმიოთ... იმედი მივცეთ! (შაასშის
ზანის ხმა) გესმის, მარო! ფარდა იხდება.
კომედია უნდა დავიწყოთ! (ისტეროიულად
ხაჩხაჩებს. მარო ამშვიდებს. სიჩუმე.)

VII

ანიჩკა. (ისე შემოვარდება სცენაზედ, რე-
გორც ზარბაზნიდან გამოჩატვრები ეუშა-
ნა) აქა მშვიდობა და ხალხთა შორის
სათნობა! მომილოცნია! (ჰკოცნის ნინოს,
შეკრე მაროს) ოჰ, შენც აქა ხარ!.. მაგრამ
აბა, სად იქნები თუ არა აქ? თქვენ ხომ

გაუყრელები ხართ, ვით ჰამოვითყვე-
რაციო... ჯერ არვინ არ მოსტყობს...
რო კარგი, (ნინოს და მაროს შუა ჩადგება
ორივეს ხელებს დაუჭერს, წინ წამოიყვანს და
სახეზედ ატყუარდება) აბა დამაცქერდით. (სი-
ჩუმე) კარგად დამაცქერდით... ვერაფერს
მატყობთ? ალუტ! ნეკზედ არ მიკბინოთ.
ერთი შემომხედეთ,— თვალები როგორ
მიეღვარებს, სახე როგორ მიბრწყინავს...
მაშ ვერას მამცნევთ, ვერას მამცნევთ?
ხალხნო, რა ღმერთი გავიწყობთ?
მე შეყვარებული ვარ, შეყვარებული!..
და ახლა, როგორ? (ეეღვება უჩვენებს) აი,
აქამდის!..

მარო. ეგ ხომ პირველი არ არის შენ-
გან. .

ანიჩკა. მართალია, პირველი არ არის,
მაგრამ უკანასკნელი-კი არის! მაშ! არა
გჯერათ? მე თქვენ გეუბნებით,— უკანას-
კნელი იქნება-მეთქი! ახლა, აღარა მკით-
ხავთ, თუ ვინ მიყვარს?

მარო. რაღა გკითხობთ? სულ ერთია,
შენ თითონ იტყვი... მაინც, ვინ არის?

ანიჩკა. მამიჩემის ადიუტანტი!

მარო. ოჰ, ეგ ხომ ძველი ამბავია...

ანიჩკა. არა, სულ ახალია. იმიტომ,
რომ ადიუტანტიც ახალია ერთი კვირა
არის, რაც მამიჩემს დაუნიშნეს...

მარო. მერე და... ასე სწრაფად სად
მოასწარ?

ანიჩკა, მაშ არა და შენსავით ათიოდე
სათვალეს წამოვიდებ ცხვირზედ კაცის გასა-
სინჯავად მოვიდა... მნახა... ღ და მამარცხა!
მაშ!.. რომ იცოდე, მარო, რა გავწყვი-
ლი უღვაშები აქვს!.. შენ ხომ სისხლის
მაგიერ ძარღვებში წყალი გიდგა, მაგრამ
რომ ნახო, შენც-კი შურით აივსები. ერ-
თხელ ვკითხე — რად იწყებავთ, ბატონო
პორუჩიკო, უღვაშებს ასე-მეთქი დი იციოთ
რა პასუხი მომიგო? (ჭბაძვს) „იმიტომო,
კნიაჟნავ, რომ მინდა ზედ თქვენისთანა
ლამაზ ქალების გულები ავასხაო“... არა,
როგორ მოგწონს და! მახვილი პასუხი
არ არის?!

მარო. მახვილობისა რა მოგახსენო და ბრიყუული-კი რომ არის,—ამაზედ მე თანახმა ვაგინდები.

ანიკა. (წყენით) რაო? ბრიყუულიო? უკაცრავად, ქალბატონო! დიდად სცდებით, თქვენმა მშემ. ჩემი გულის რაინდი თავის დღეში ბრიყვი არ ჭახლდებათ. აბა, რაში მოგეწონებათ! როგორ შეედრება აი, იმ ეკონომიურ მატერიალიზმის მქადაგებელს, რომელიც სიტყვას ისე არ იტყვის, რომ თან „ვინაიდან“ არ დაუმატოს... ან სლოკინი არ აუვარდეს... ან კიდევ, აი, ის ლევანია, თუ ვილაცა..

ნანო. (თავდაწივებით) ნუ ამბობ მაგას, ანიკა... მე ნებას არ მოგცემ!.. (მღვწვარება ეტყობა, სცდიალბს თავი შეიკავას).

ანიკა. ოჰო, ქალბატონო!.. ააა!.. კუდი მოგეწო განა!.. გამოხველ შენის ქერქიდან თუ არა! მე-კი შენი გული მიუკარებელი ციხე მეგონა. მაგრამ, თურმე ნუ იტყვით, ერთ ადგილას დაზიანებული ყოფილა და შიგ სიყვარულის შუქი შეპარულა...

ნანო. ანიკა, ღვთის გულისათვის...

მარო. ახლა, ქალი რომ ყმაწვილ კაცს გამოესარჩლოს, უქველად შეყვარებული უნდა იყოს? ლევანს ჩვენ ისე ვუყურებთ, როგორც მეგობარ ადამიანს...

ანიკა. ჰო, კარგი! გიცნობთ რა შეილებიცა ბრძანდებით... ნამეტნავად შენ, ნანო... ვიცი, რა მუზმუზელა რამა ხარ! შენ ყველას მეგობარს ეძახი... რასაკვირველია, სულიერ მეგობარს... და თან-კი სიყვარულის ცეცხლში ავლებ... განა არ ვიცი, რომ ის თქვენი სულიერი მეგობარი ლევანი სულით და გულით გაგიჟებულია შენთვის... შენ-კი იმასაც იმედს აძლევ და ამავე დროს პოლკოვნიკ ჭავჭავანიძესაც ამხნევებ!..

ნანო. (თავს შეიკავებს) ანიკო, თუ ღმერთი გწამს, გაათავე მაგვარი ლაპარაკი... მე პოლკოვნიკი ჭავჭავანიძე მძაგს... მეზიზღება.

ანიკა. (ტბიურის დიმილით) ლევანი?

მარო. ქალო, რა დაგემართა? რა გამოძიებელი გამოგვიჩნდი?..

ანიკა. მე ის გამოძიებელი გამოგიჩნდით, რომ ჭამა-ფიცვიანი ნუ ხართ... თქვენ ყველაფერში წილი გიდევთ: არ-შიყობაშიაც... სიყვარულშიც, ყმაწვილ კაცების თვალების აბლესაშიც... და ამავე დროს მელაკუდაობთ... ჰმალავთ... პირბადეს ატარებთ... მე-კი .. მე, როცა მიყვარს ვინმე, ვერ დავმაღავ!.. აი ახლა! (მოჩვენებულის ჰაფისით) ხალხნო და ჯამათნო! იცოდეთ, რომ მე ადიუტანტი მიყვირს!.. მიყვარს... მიყვარს და მიყვარს!

ნინო. ახლა, სულ ვერე უნდა იყვირო?

ანიკა. მაშ არა და შენსავით ფილოსოფიასა და პოლიტიკურ ეკონომიას თავს გამოვალაყებინებ... (მოამის ზარის ხმა) აი, მოგივლენ ბ-ნი კანტისტნი, ნაციონალისტნი, მარქსისტნი და მრავალი ერუნდისტნი!.. იცოდეთ, ქალებო, დღეს მე პოლკოვნიკ ჭავჭავანიძესა და ჩვენს „უაღრესს ფილოსოფოსს“ ბ-ნ ბახბახაშვილს უნდა შევუყეთო... შენ, ნინო, ეჭვი არ აიღო... ჩვენი ცხოვრების უკიდურესი მემარცხენე ბ-ნი ჭარჭალაძე, რომელიც სიყვარულს კუჭიერ ფაქტორით ზომავს, მარო, შენთვის დამითმია... იმის მეცნიერულ აღმატებულებას მარტო შენ თუ მოუხვალ თვალში...


VIII

ჭავჭავანიძე. (შემოდის პოლკოვნიკის მუნდირში გამოწვობილი) მაქვს ბედნიერება, კნიაჟნა, მოგილოცოთ დღესასწაული თქვენის სახელწოდებისა... ვისურვებ, რომ, ჩვენი ქვეყნის სანუგეშებლად თქვენისთანა დედანი, მარად ნეტარნი, მრავლად იყვნენ საქართველოში...

ანიკა (სიცილით) თავადი ელიზბარი მარტო სამსახურში როდი ყოფილა გამჭირახი... რჩებიც კარგი სცოდნია.

ჭავჭავანიძე. როცა დრო მოითხოვს, კნიაჟნა, მაშინ ხმალი სიტყვაში უნდა გავცვალოთ...

ანიკა. მერე, ხშირად გინდებათ მაგ-



გვარი ცვალებადობა?

ჭავჭავანიძე. (ღიმილით) ყოველთვის, როცა ამგვარის საზოგადოების ხილვით გაბედნიერებულნი ვართ...

მარო (ნინოს) ხმა ამოიღე, უთხარი რამე..

ნინო. (ნაძაღადგვის ღიმილით) გამდლობთ, ბატონო ელიზბარ... მე გავიგე, თურმე შეუძლოა ბძანდებოდით... ეხლა თავს როგორა გრძნობთ?

ჭავჭავანიძე. ამ ჟამად არა მიჭირს-რა... განსაკუთრებით...

ანიჩკა. (სიტუვას ჩამოართმევს) განსაკუთრებით ამ ბრწყინვალე საზოგადოების ხილვის გამო... არაა, თავადო? განა რითი იყავით ავად?

ჭავჭავანიძე. ექვს იანვარს „პარადში“ გავცივდი. (სიჩუმი).

ნინო. (მაროს) ღვთის გულისათვის, შენ ილაპარაკე, მე არ შემიძლიან... სული მებუთება... ლამის დავიღრჩო...

მარო. აბა, რა ვთქვა? (ჭავჭავანიძეს) რა ამბავია თქვენსკენ, ბატონო ელიზბარ?

ანიჩკა. ერიპაა!.. მარო, ლაპარაკის საფანელი ხომ არ შემოგაკლდა? ეგ რა საკითხია, ერთი მითხარი, რა ამბავია თქვენკენა? განა თავადმა არ იცის, რომ ჩვენთვის საინტერესოა. არ არის, ვის პოლიკოვნიკობა მისცეს, ვის კიპიტნობა და ვინ დაითხოვეს სამსახურიდან ლოთობის გამო. თავადო ელიზბარ, ისევე ისა სჯობია, — ამ კითხვაზედ მომცეთ პასუხი...

ჭავჭავანიძე. ბრძანეთ.

ანიჩკა. ერთი მითხარით, თავადო ელიზბარ, სიყვარული გამყვანებული სჯობია, თუ ფარული?

ჭავჭავანიძე. როგორც ყოველი ცოდო, სიყვარულიც გამყვანებული სჯობია.

ანიჩკა. როგორ თუ ცოდო? პირველად მესმის, რომ სიყვარული ცოდო იყოს.

ჭავჭავანიძე. ეგ იმიტომ, კნიაჟნა, რომ თქვენ სიყვარულისაგან წილად მხოლოდ ვარდი გრგებიან. ამის გამო თქვენ იგი უმადლესს მადლად მიგაჩნიათ... იმან რაღა სთქვას, ვისაც სიყვარულისა მარტო

ეკალი ჰსობია გულში? (ამოახსრით) იგი ყოველთვის სიყვარულს ღიმილით სთვლის.

ანიჩკა. (სიღიმილით) ბრავო, ბრავო, თავადო ელიზბარ!.. მშვენიერი აღსნა იყო! (ჩუმად დაჰარაკებენ).

ნინო. (მაროს) ლამის სული ამომართოს ამათმა ყბედობამ... მე ვგრძნობ, სუსტი ვარ ავიტანო ესოდენი ტანჯვა.. ოოჰ! ლევან, ლევან! რა სასტრუკად გადამიხადე!..

მარო. სხვა რა გითხრა იმის მეტი, რომ უნდა გამხნევდე როგორმე.

რუსუდანი (შემოდის ფეფეღასთან ერთად.) ააა! თავადო ელიზბარ!.. მადლობა ღმერთს, რომ მშვედობით გხედავთ... თქვენმა მზემ, ისე შემაწუხა თქვენმა ავადმყოფობამ, რომ აღექსანდრეს მოსვენებებს არ ვაძლევდი. ყოველ დღე თუ თქვენი ამბავი არ მოეტანა, ცუდად იყო ხოლმე იმის საქმე! სხვა, ახლა როგორა ბრძანდებით? (ანიჩკას ოჰ, კუდიანო, შენც მოსულხარ?)

ჭავჭავანიძე. გამდლობთ კნეინავ, გულმტკინვეულობისათვის... უკედ გახლავართ. და, როგორცა ჰხედავთ, შევიძელ დავიახელ თქვენს ქალს მოსალოცად. (ნინო, მარო და ანიჩკა ცაღკე ჭკუფს შეადგებენ. ამ სურათის განმავლობაში, სხვა და სხვა დრას, შემოდის ახალგაზდა ქალები და კაცები. ქალები ჰკოცნიან ნინოს მიღოცვის ნაშნად და ახალგაზდების ჭკუფში ერკვიან. სხვათა შორის ორი ჩახხხინიც შემოდის... ისინი და სხვა ვაჟებიც თავის დაკვრით და ხელის ჩამართმევით უფოცავენ ნინოს. ანიჩკა რაღაც სასაცილო რამეს უამბობს ახალგაზდობას და ისინიც იცინიან.)

რუსუდანი. თქვენმა ზრდილობამ, თავადო ელიზბარ, არ გაწყინათ... მარო, შენ გაზრდას ეგ კარები მიხურე, თორემ ნიავი ჰქრის... არ გავცივივდეს ძვირფასი ავადმყოფი...

ჭავჭავანიძე. (კმაყოფილის ღიმილით) ნუ სწუხდებით თქვენს მზეს, კნეინავ...



ფეფელა. ჯა! ეგეც მეტის მეტია! ვერა ჰხედავ—თავადი როგორ წითლად ჰღვივის... სხვა, თავადო ელიზბარ, როგორ მიმდინარეობს თქვენი სამსახურის საქმე.

ჭავჭავანიძე. მადლობა ღმერთს... არა მიჭირს-რა...

რუსუდან. ოღონდაც, რომ არა გიჭირთ რა ალექსანდრემ დამარწმუნა, ვითომ ამ ახლო ხანში ღენერლობას მოელოდდეთ...

ჭავჭავანიძე. არა, ბატონო, ეგ კი მეტის მეტია... ჩემს ხანში ღენერლობა ძნელი მისაღებია...

ფეფელა. თქვენც არ მომიკვდეთ, რომ ძნელი მისაღები არ არის თქვენისთანა სახელოვანის კაცისათვის... აი, მაგალითად, თავადმა ზარბაზანიძემ სწორედ თქვენს ხანში მიიღო ღენერლობა...

რუსუდან. აბა, შენგან არ მიკვირს ფეფელ?! რად იცი მაგისთანა უცნაური ლაპარაკი? თავადი ზარბაზანიძე ამათ ხანში პოლკოვნიკიც ძლივს იყო...

ფეფელა. სულაც არა—შვილი არ მომიკვდეს...

რუსუდან. ახლა ნუ ამიხიბვდები... მე უფრო კარგად არ ვიცი...

ფეფელა. რას ამბობ, ქალო, ნეტა ვიცოდე! კნეინა ელისაბედის მეორე ვაჟი მე მყავს მონათლული და მე მასწავლი?

რუსუდან. რა ვქნა? შვილი გყავს მონათლული, თითონ ზარბაზანიძე ხომ არა..

ფეფელა. გარწმუნებ, რომ მეტად ახალგაზრდამ მიიღო ღენერლობა...

X

ალექსანდრე. (შემოდის. ედიზბას რამ დანახავს, ორივე სეფებ-გაწვიდი). ოოო!. ჩემს ელიზბარს, ჩემს ელიზბარს!.. საკუთრად ჩემს ელიზბარს!.. ჩვენს გმირთა გმირს!.. მე შენ გითხრა—შენ ხარ ჩემი ბატონი, შენისთანა ქართველს რომ ვხედავ, გული მენსება ხოლმე და ასე მგონია, —საქართველოს ღენარალთა გმირობის ისტორია ზედ ხელის გულზედ მქონდეს გადაშლილი... მოდი ერთი გაკოცო!. (ეხვევა).

რუსუდან. კიდევ თავის ისტორია... შენ ისტორიას თავი დაანებებდი, ალექსანდრე-ხარი, —თავადი ზარბაზანიძე თავ. ელიზბარის ხანში იყო, როცა ღენერლობა მიიღო, თუ უფრო ხნოვანი იქნებოდა?

ალექსანდრე. შენც არ მომიკვდე!.. ვის ეკადრება? მე, ზარბაზანიძე და ანინკას მამა ერთის ხნისანი უნდა ვიყვნეთ... ბევრი-ბევრი ერთი—ორი წელიწადი თამაშობდეს ჩვენ შორის... ღენერლობაც ერთად მივიღეთ... მე მაშინვე სამსახურიდგან დამითხ... ჰმ... გამოველ... ისინი-კი დარჩნენ... მაშინ მე კარგი ორმოცდა ხუთმეტის წლისა უნდა ვყოფილიყავ... ჰო, მე და ჩემმა ღმერთმა!.. არც ნაკლები უნდა ვყოფილიყავ...

რუსუდან. (ფეფელას ნიშნის მიგებათ) ახლაც დაიყინებ?!..

ალექსანდრე. რაო? განა ფეფელა წინააღმდეგს ამტკიცებდა?

ფეფელა. ვამტკიცებდი და კიდევაც ვამტკიცებ... მაშ არა და შენ და ზარბაზანიძე ერთის ხნისანი ხართ!.. ჯერ ერთი იმას ჭაღარა სულაც არ ურევია... შენ კი...

ალექსანდრე. მეც რომ იმასავით გუნდა-ლახოსტაკი გავაჩანაგო, მაშინ მუდამ ახალგაზრდა ვიქნები... ან ჭაღარას რა თაბაუთი აქვს... (ერთმანეთში ჩუმად ღაზა-დავახსენ).

ანიჩკა. (უურა ათხვავა ალექსანდრეს უკანასკნელ სიტყვებს) ძალიან-კი წაუშკვართლა მამაშენმა, ნინო, თავ. ჭავჭავანიძეს მაგ სიტყვებით...

ქალები. (ერთად) როგორ, როგორ?

ანიჩკა. როგორ და ისე, რომ გუნდა-ლახოსტაკის ხსენება დიდი მათხარი იყო ელიზბარისათვის...

ქალები. (ერთად) რათა?

ანიჩკა. რათა და მათა, რომ ჭავჭავანიძე არც ისე ახალგაზრდა არის, როგორც თითონა ჰგონია და ჩვენც თავს გვაჩვენებს... თურმე ნუ იტყვი, ქალებო, უღვაშებს იღებავს!..



XI

ქართული

მარო. ახლა ეგ მოაგონე...
ანიჩკა. არა გჯერა? დედა არ მომიკვდეს!.. იმის სახლში ჰინა და ბასმა უნახავთ.. თურმე ყოველ კვირაობით ერთი თათარი დაიარება და ის ადებს ჰინას..

მარო. აბა, ეგ რა დასაჯერებელია...
ანიჩკა. ნუ დაიჯერებთ, თუ არ გინდათ... აბა, ერთი დააცქერდით... მეტი-მეტი სიშავისაგან იმის უღვაშებს ლურჯი ფერი დასცემს... (ქაღები იღინახს).

ფეფელა. (მიუხედავად) ისეთს რას გაიმბობთ ეს კულრაჭა, რომ სიცილით იფხრიწვებით?

ანიჩკა. (აჩუქრად) არაფერს ძაღუა.. ამ ქალბატონებმა თურმე არ იცოდნენ, რომ თავად ელიზბარის ახალგაზღობის მიზეზი გუნდა-ლახოსტაკი ყოფილა.

ფეფელა. (ზირხედ ხელს აფარებს) სუ... სუ! შე ეშმაკო შენა!.. ერთი ამას უყურეთ და!..

ანიჩკა. ძაღუა, რა კარგი იქნება, თავადმა ელიზბარმა, როცა ჰინა ედება უღვაშებზე, ერთი კარვად ჩავპროშტოთ!.. ხელად თქვენც რა უღვაშები გადაგწვიპებათ ტუჩებზედ!.. (უკვლახი იღინახს).

ფეფელა. გაჩუმდი, გაჩუმდი შე დაუდევარო, თორემ ეშმაკობას გაგიგებს და სახარბიელო „ჟენიხს“ დაჰკარგავ...
ანიჩკა. რაო? „ჟენიხსაო“? მე, ძაღუა, გულკეთილი ვარ და ამისგამო თქვენი ბრწყინვალე ახალგაზღა „ჟენიხი“ ამ ქალებისათვის დამითმია... ქალებო, ახლავე აქ მოგვერით რაინდს, რომელსაც ქალების მოსახიბლად, ჰინისა და ბასმის გარდა, სხვა იარაღი ვერ მოუხმარებია... (მივა ელიზბართან, რომელიც ადექსანდრეს და რუსუდანს ელაპარაკება) რაკი საბოლოოდ გარდაწყდა, რომ თავ. ელიზბარი ახალგაზღა ყოფილა, ამის-გამო იგი ჩვენ დაგვითმეთ...

რუსუდანი. დათმობით-კი — დაგითმობთ, მაგრამ დროა ყველანი სასადილო ოთახში წავიდეთ... ჩაი მზად არის. თუმცა ჯერ ბევრი გვაკლიან, მაგრამ არა უშავს-რა... სტუმრები პირდაპირ იქ შემოვლენ. (მივა კარებთან) მაშო, ვინც სტუმრები მოვიდნენ, სასადილო ოთახში მობძანდნენ. (სტუმრებს) მობძანდით, ბატონებო! (მისმის ზარის ხმა) აგერ, კიდევ სტუმრები იქნებიან... ბარემ იმათაც დავუცადოთ.

(**ბახბახაშვილი** და **ჭარჭალაძე** შედიან ხელში წიგნები უჭირავს. წინ წამოვლენ, ხინოს მიუხედავდობან და ორაგენი ერთსა და იმავე დრეს თავს უკვრენ გახვადებით).

ბახბახაშვილი. ყოვლოდ პატივცემულო კნიაჟნა ნინა და თქვენც წარჩინებულნო ბატონნო და ქალბატონნო!

ანიჩკა. ჰარიქათ, ქალებო! ალახვენით ყურნი თქვენი!.. რეჩია, რეჩი!

ჭარჭალაძე. დიად, პატივცემულო კნიაჟნავ და თქვენც წარჩინებულნო ბატონნო და ქალბატონნო!!

ბახბახაშვილი. (სიტყვას აწყვეტინებს) პირობა ნუ გავიწყდებათ, ბატონო დომენტი კაპიტონიჩ! პირველი რეჩი ჩემია! (ჭარჭალაძე თანხმობის ნიშნად თავს უკრავს) ნუ გაგიკვირდებათ, ბატონებო, რომ ჩვენ, ე. ი. მე და ბ—ნი ჭარჭალაძე, დაუძინებელნი მტერნი აზრთა სფეროში, აქ, ამ დიდებულს დარბაზსა შინა, ერთად შემოვედით, ვითარცა მახარობელნი, თანხმობის მაუწყებელნი... და, თუ მაინცა და მაინც—ეს საკვირველი გარემოება თქვენთვის გამოლურკეველი რჩება, ნება მიბოძეთ მე ავლსნა იგი...

ჭარჭალაძე. (სიტყვას გააწყვეტინებს) ე. ი. ნება გვიბოძეთ, ჩვენ ავლსნათ იგი...


ბახბახაშვილი. დიად, ჩვენ ავლსნათ იგი... ბატონებო!..

ჭარჭალაძე. (დასწრბას და განაკრძობს) ბატონებო! თქვენ კარვად მოგეხსენებათ, რომ საქართველოს მღულარე ცხოვრებამ თავისს ზედაპირზედ ამოაბურთა ორი უკიდურესი, ერთი-მეორის წინააღმდეგი, დასი...

ბახბახაშვილი. (სიტყვას ჩამოართმევს) ამ ჟამად აქ, ამ დიდებულს დარბაზში, ერთის დასის წარმომადგენლად ბედნიერად ვრაცხ აღვიარო თქვენი უმორჩილესი მონა!.. (თავს უკრავს).

ჭარჭალაძე. (სიტყვას აწყვეტინებს) და მეორე დასისა-კი, რომელიც უმაღლეს პრინციპად აღიარებს ნეტარხსენებულის, სულით განსპეტაკებულის მარქსის მკნებას და ეკონომიურს მატერიალიზმს, — მე განხლავართ. .

ბახბახაშვილი. ისიც მოგეხსენებათ, ბატონებო, რომ ამ ორ დასთა შორის აზრთა შეხეთქების და ჯახა-ჯუხის ზავით-



ანი პროცესი მეტის-მეტად გაბუნდოვან-
და, ამიტომაც დაუსრულებელი ვახდა...

ჭარჭალაძე. (სიტყვას ჩამოართმევს.)
და ვინაიღვან შეიძლება, ამ სტიქიონურმა
ბრძოლამ გონების გიმნასტიკისამ, ევოლიუ-
ციის კანონის ზედ-გავლენით, უმწვერვა-
ლეს წერტილამდის მიაღწიოს...

ბახბახაშვილი. (რომელიც აქამდის ცდი-
ლობდა—ჭარჭალაძისთვის სიტყვას ჩამოერთო)
და ერის ცხოვრების გაპოზიტივების ნია-
დაგში ვანთესოს თესლნი განხეთქილე-
ბისანი.

ჭარჭალაძე. ჩვენ დავადგინეთ: (ერთმა-
სეთს შეხედავს და ორივენი ერთხმად დაიწ-
ყობენ) მოგილოცავთ-რა ღირს-შესანიშ-
ნავ დღეს თქვენის სახელწოდებისასა,
მივმართავთ გრძობასა თქვენსა სამარ-
თლიანობისასა, გონებასა თქვენსა გან-
სებულებულსა და ალღოსა თქვენსა გამა-
ხვილებულსა!.. წარმოვადგენთ-რა ამასთანა-
ვე ამ დროის სახარებათა ჩვენის დასე-
ბისათა...

ჭარჭალაძე. (ცაღკე) „კაპიტალსა“ მარ-
ქსისასა.

ბახბახაშვილი. (ცაღკე) „კრიტიკასა“
კანტისასა.

ჭარჭალაძე. (ცაღკე უჩვენებს წიგნზედ)
და, ვინაიღვან ამა წიგნში იხილავთ თქვენ
ახალსა მსოფლიო მჭვრეტელობასა, ვითა-
რებასა ევოლიუციისასა და პრინციპსა
ეკონომიურის მატერიალიზმისასა...

ბახბახაშვილი. და, ვინაიღვან იხილავთ
თქვენ ამა წიგნში (წიგნს უჩვენებს) აზრთა
ფილოსოფოსებრივთა, კატეგორიათა გო-
ნებისათა და მეტაფიზიკასა განყენებულ
ფიქრთა პროცესისა,—(ორივენი ერთად)
გთხოვთ: მოიწოდოთ გონება თქვენი ბჭო-
ბასა ზედა, გრძობა თქვენი განსაწმინდა-
ვად არსებისა თქვენისა მიკერძებისაგან და
აღლო თქვენი განსაჭვრეტად იმისა,—რაი
არს ამა წიგნებში გონებისათვის ფარულ
და, შემდეგ ყოვლისა ამისა, ლალად ჰყოთ
გულხმვიერება თქვენი საქვეყნოდ: რომელ
არს ამა ორს მიმართულებათა შორის
მართლად, წმინდა და უკვდავ? და მით ჰქმნათ
საქმენი საგმირონი, მაგვარნი იმა წმინდა
დედისა, რომლისა სახელსა ატარებთ...
(თავს დაუკვრენ და განსუად გადაგებან).

ანიჩკა (და სხვა ქალები): ბრავო! ბრა-
ვო! ჩინებულთა! ამდროულია!..

ნიწო. გმადლობთ, ბატონებო, მე...
ტივისცემისათვის, მაგრამ უნდა ვთქვათ—
ვალდება არ განეწონება ჩემ ძალ-ლონეს და,
ამის გამო, გთხოვთ გამანათვისუფლოთ.

ჭარჭალაძე. ნუ იზამთ თავს, კნიაჟ-
ნა, ვინაიღვან თქვენ შეგიძლიან დაიხს-
ნათ ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო
ეკონომიურის კირთებისაგან!

ბახბახაშვილი. ნუ იზამთ თავს კნიაჟნა,
რამეთუ დეაწლსა თქვენსა არ ექმნება
დასასრულ!

ნიწო. ბატონებო, მე...

ბახბახაშვილი და **ჭარჭალაძე** (ერთად)
გვედრებით კნიაჟნა! (ხელებს ადამურბენ)

ანიჩკა. შენ რაღა დავგმართა, ქალო!
ასეთს საპატიო მონღობილობაზედ განა
უარი ითქმის? (ჭარჭალაძეს და ბახბახაშვილს)
ნუ სწუხდებით ბატონებო! კნიაჟნა ნიწო
კისრულობს—განსაჯოს თქვენ შორის ატე-
ხილი დავა უმაღლეს აზრთა სფეროში სა-
მედიატორო სამართლით და მისცეს დამ-
შვიდება ჩვენის ცხოვრების ზედაპირზედ
ამობურთულ ორს უკიდურესს, ერთი
მეორის მოწინააღმდეგე დასს, რე მით მოჰფი-
ნოს ჩვენს მრავალტანჯულს სამშობლოს
შუქი ახალის მსოფლიო მჭვრეტელობისა
და ფილოსოფოსებრივ აზრთა შეხეთქების
პროცესისა!..—უჰ, ღმერთო ჩემო, ძლივს
არ გამოვთქვი!..

ყველანი. ბრავო, ბრავო!..

რუსუდანი. ახლა-კი ბატონებო, მობრ-
ძანდით, ჩაი მზად გახლავთ... (ყველანი
მიდის და თან დაჰმარჯობენ. აქა-იქ გაისმის
, „უმთავრესი ფაქტორი კულტურისა“ „ისტო-
რიული მატერიალიზმი ქვა-კუთხედი შეგ-
ნებასა“ „კატეგორიული იმპერატივი“,
„მეტაფიზიკა სისულელეა“, „ნაციონა-
ლიზმი არა რა არს!.. სოციალიზმისათავე
ყველანისა“. ერთ ხანს კარებთან გაჩერდებიან,
ყველანი ვერ ეტყვიან ერთად და ხელების
ქნევით ერთმანეთს ეკამათებიან).

ანიჩკა. (როცა ყველანი გავეყენ, რუსუ-
დანს წინ წამოიფრანს და მითამ უურში უჩურ-
ხულებს) ძალოუა! ურიგო არ იქნება ამ
ოთახში ახლავე დეზინფექცია მოახდინოთ,
თორემ მეტის-მეტე ბოლოსლოვური სუ-
ნი დატრიალდა! (და სიცილით გარბის, რუ-
სუდანი თითის ქნევით უკან გაჰქეპება).

ფ ა რ დ ა
(დასასრული შემდეგ ნომერში.)



ნ ა წ ე რ ე ბ ი

ტომი პირველი.

იყიდება „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ წიგნის მიღახში წიგნი დიდი ფორმატისა და ღირს ერთი მანეთი.

ქართულ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ შესაკერად კაბებს ქალებისა და ბავშვებისას. იქვე იღებენ ყოველ გვარსაკერავს „გლადით“ და „მეტკებს“ და ლიან იათად.

ვერის კონკები სადაც სდგება, გაბანთ ქუჩა № 3.

წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებაში

მიიღება ხელის მოწერა

1) დავით კლდიაშვილის სრულ თხზულებზე.

ფასი ხელის მომწერთათვის ექვს აბაზი.

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1911 годъ на газету

„**ЗАКАВКАЗЬЕ**“

(годъ VI).

ПОДПИСНАЯ ЦЕНА:

Съ доставкой о Тифлиси:

На годъ 6 руб. — коп.

На полгода 3 руб. 50 коп.

Съ пересылкой на друге города:

На годъ 8 руб. — коп.

На полгода 4 руб. 50 коп.

За-границу вдвое.

Для годовыхъ подписчиковъ допускается разсрочка.

Адресъ редакци: на Дворцовой ул. въ домъ грузинскаго дворянства. Телефонъ редакци № 917. Телефонъ редактора № 1035.

Редакторъ М. В. МАЧАВЕЛИ.

Издатель Д. П. МАДЖАВАРИАНИ.

2) ეკატერინე გაბაშვილის სრულ თხზულებზე.

ფასი ხელის მომწერთათვის 1 მანეთი.



გამოვიდა

ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი ს

ლ ე ქ ს ე ბ ი.

„ოცნების კოცნა“

გამოცემა ამბ. „სორაპნისა“ წიგნი შეიცავს 32 გვ. და ღირს 10 კაპ.

ეკ. გაბაშვილისა

გასტროლი ნ. ტ. ვან-ბრანდტისა.

თეატრული
განცხადება



სახაზინო თეატრში უკვე დაიწყო გასტროლი ცნობილ მომღერალ ქალისა ვან-ბრანდტისა. როგორც წინა წლებში ეხლაც დიდ აღტაცებაში მოჰყავს თავის მშვენიერი ხმით დამსწრე საზოგადოება. ამის მოწმე ის არის, რომ როდესაც ვან-ბრანდტი მღერის, თეატრი სულყოველთვის სავსეა ხოლმე.

მომღერალ ქალმა უკვე მიიღო მონაწილეობა: „ტრავიატაში“, „ბატერფლი-ში“ და „მინიონში“, ვან-ბრანდტი არამც თუ სიმღერით, არამედ თამაშითაც კი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებლებზე.

როგორც გავიგეთ ვან-ბრანდტი ნ გასტროლზეა მოწვეული.

მონაწილეობას მიიღებს კიდევ შემდეგ ოპერებში: „ლაკმეში“, „ტაისში“, და „სახუმწიფო საძაღოში“.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

„ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა ზ ე თ ი“

წელიწადი მეორე

ყოველდღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

ს უ რ ა თ ე ბ ი ა ნ ი დ ა მ ა ტ ე ბ ა

დამატება გამოვა კვირაობით

გაზეთის ფასი დამატებებისა: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ დიანს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური, დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

განაწილება ფასისა: გამოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50 კ.

რედაქცია ღიაა 9—7 საათ.

Тифльсь, редакция „Сахалхо газети“.